

f 130  
2

გილია ახსან კარის...  
... მოსწავლეობა ჰაბლით...

8830

კუსსათის პოლიტიკა  
და  
იფრათის მეფე სოლომონ

ისტორიული მონოგრაფია

ქუთაისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის მასწავლებელ  
ნ. შპიგუნდისა.

1-39-1

*Handwritten red stamp*

ფასი 3 მ. 50 კ.

ქუთაისი

ტაბა 11. 7. ხუც...

191

თ. მთავრობის აზრის გამოცემა

9/5/2

ქართველ მოსწავლეთა ბიბლიოთეკა № 6.

9(42)

ქ-39-h

# რუსეთის პოლიტიკა

და

## ივერეთის მეფე სოლომონ II

130

ისტორიული მონოგრაფია.

ივს

მვ.

სურ.

ქუთაისის გამზავების მასწავლებლის

ნ. ჯეიშვილისა.

1042

საქართველო



ქუთაისი  
სტამბა ი. მ. ხელაძისა  
1919

# რუსეთის პოლიტიკა და იმპერიის მუშა სოლომონ II

. (ვეუძღვნი პროფესორს ალ ცაგარელს).

ძველი ქვეყანა, ბუდე ცივილიზაციისა, დაეცა არა მარტო გარეგნული განმანადგურებელი მიტანილი იერიშის შედეგებით, არამედ შინაგან ძალთა განწყობილების ზეგავლენით. შეიქრა.

სახელმწიფოსა რჯულის ერთობა აღარას არგებს, ოდეს თვისება მის ერთა შორის სხვადასხვაობდეს. ნ. ბარათაშვილი.

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს.

ვინც ივიწყებს მისსა სახელს, მასვე უმალ დაამიწებს. აკაკი.

ზავიხსენოთ წარსული, ტრაგიზმით აღსავსე ისტორია ჩვენის წინაპართა. ნუ მივცემთ დავიწყებას ჩვენის წინაპართა სისხლით შექმნილ ისტორიას. გავიხსენოთ წარსული ცხოვრება შათი, ვინც ჩვენ წარმოგვშვა, გავიგოთ, როგორი იყო ჩვენი წარსული ცხოვრების ვითარება, რომ მით გავითვალისწინოთ აწმყო და მიზანშეწონილად მივისწრაფოდეთ მომავლისკენ. ჩვენი ძვირფასი ქვეყანა ოდეს დაავათ-მყოფებულა და, თუ ჩვენ არ გვინდა სამარცხვინო

დალი ორგული, მოლალატე შვილისა შუბლზე მივიკრათ, უნდა ვეცადოთ ჩვენი ისტორიული პროცესის სასწორი გადავხაროთ ჩვენი სამშობლოს აღორძინებისაკენ, ამ მხრივ წარსული ცხოვრების შესწავლა-გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენდა სავალალოდ, საქართველოს ისტორია არ არის ჯერჯერობით ჯეროვანად შემუშავებული; სხვათაშორის იმერეთის სამეფოს უკანასკნელი დროის ისტორია მხოლოდ მშრალ მასალას წარმოადგენს (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორიოდე გამოკვლევას ამ საგანზე). ამიტომაც მე პროფესორის ალ. ცაგარელის რჩევით და პროფ. ჯავახიშვილის დახმარებით<sup>1)</sup>, მიზნად დავისახე პირველი წყაროებით გავეცნო დასავლეთ საქართველოს (ე. ი. იმერეთისა მეფოს) რუსეთთან შეერთების ისტორიას. ამ წერილში მხოლოდ სოლომონ მეფის ისტორიას შევეხები; მაგრამ სანამ ამ საკითხზე გადავიდოდე, ზერელედ გადავავლებ თვალს საქართველოს თანდათანობითი განვითარების ისტორიას უძველეს ქალაქ დროიდან რუსეთთან შეერთებამდე. ამასთანავე აღვნიშნავ, თუ ვის კულტურულ ზეგავლენას განიცდიდა საქართველო, საითკენ იყო მიმართული ქართველების ლტოლვა ბიზანტიის დაცემის შემდეგ და რა შედეგი მოჰყვა ამგვარ მათ ნაბიჯს.

<sup>1)</sup> ამისთვის უდიდეს მადლობას ვუძღვნი დიდათ პატივცემულ პროფ. ივ. ჯავახიშვილს.

მეოცე საუკუნე არის ეპოქა ყოფილ ღირებუ-  
ლებათა გადაფასებისა. მახვილი გონება კაცობრი-  
ობის აზროვნებისა ვერ ურიგდება ყოფილ დახვე-  
ბულ ცხოვრებას და, შარავანდედით მოსილი, უმჯო-  
ბეს, მომავლისკენ მიისწრაფის, იჭრება სხვა ცხოვრე-  
ბაში და ახალ ღირებულებას იმუშავებს. ჩვენ-კი,  
ქართველებს, მიუხედავად საერთო გაღვიძებისა და  
აღფრთოვანებისა, დუბჭირი ცხოვრების რკალებში  
მომწყვდეულთ, მხოლოდ ეხლახან გვეტყობა გამო-  
ფხიზლება.

ჩვენი სამშობლო ღირსი არის ყურადღების მი-  
ქცევის და პატივისცემისა - ის სამშობლო, რომელ-  
შიაც ჯერ კიდევ 64 წ. ქრ. დაბადების წინ პომ-  
პეოსმა აუარებელი სიმდიდრე ნახა და ჩვენი კულ-  
ტურით გაოცებული დარჩა. ამის შემდეგ ნახევარ  
საუკუნეს არ გაუფლია, რომ სტრაბონმა გადმოგვცა  
ძვირფასი უტყუარი ცნობები ჩვენი აყვავებული კულ-  
ტურული ცხოვრებისა. ერთი სიტყვით, საქართ-  
ველო უძველეს კულტურულ ქვეყანად ითვლება; მის  
ყოფილ ღირებასა და კივილიზაციაზე მოგვითხრობენ  
სხვადასხვა ხალხის ისტორიკოსები და მოგზაუ-  
რები. მე-VI-ე საუკუნეში ქრისტეს დაბადების შემდეგ  
იუსტინიანეს შახ ხოსროისთან ხანგრძლივი ომიანო-  
ბის დროს, რომელიც საქართველოს მიდამოებში  
გადატანილ იქმნა, ეს ქვეყანა წმინდა ქრისტიანე-  
თა მხარედ ითვლებოდა. ამ ომიანობის გადმომცემი

ისტორიკოსი პრაკოფი კესარიელი შემდეგს მოგ-  
ვითხრობს ქართველთა წინაპრებზე: „იბერიელები  
ქრისტიანებია და ყველაზე უკეთ, ვინემ ჩვენგან  
ცნობილა სხვა ხალხი, ინახვენ ქრისტიანობის რჯუ-  
ლის-დებასო“. ჩვენი წარსული მისიის მნიშვნელო-  
ბაზე აი რას ამბობს ჩვენი მხცოვანი პროფესორი  
პლ. ცაგარელი: „ჩვენ არა სლავიანებზე, არამედ  
მთელ მსოფლიოზე პირველობა გვეკუთვნის. ჩვენა  
და ბერძნებს გვაქვს უძველესი ეკლესია, ეს ორნი  
ერთ ქრისტიანობის უძველესი მცველნი. ივერია და  
კონსტანტინოპოლი, აი ეს ორი პუნქტი, საიდანაც  
ქრისტიანობა უნდა იღებდეს სულიერ საზრდოს“.

მაგრამ უღმობელი ისტორიული კანონი ხშირად  
უბრალო მაჩანჩალად ხდის იმათ, ვინც წინედ  
გარემოების ბატონებად ითვლებოდნენ და სწორეთ  
ასეთივე ბედი ხვდა ჩვენს სამშობლოს. მრავალ  
წლოებით ისტორიული გრიგალის გადარებამ დაასუ-  
სტა საქართველო; სისხლით მორწყო ყოველი ნა-  
ბიჯი ჩვენი ტერიტორიისა; ჯერ კიდევ მე-VII-ე საუ-  
კუნემდი ივერია სპარსელების ბატონობას განიცდი-  
და, შემდეგ კი ისტორიულ სარბიელზე ბატონებად  
არაბები გამოვიდნენ, მე-VII-ე საუკუნის მე-20-ე წლებ-  
ში არაბებმა მთელი სპარსეთი დაიპყრეს და იქ მეფობა  
გააუქმეს. არაბების ბატონობა ქართველებზედაც  
გავრცელდა, რის გამოც დროებით შეფერხდა ქრი-  
სტიანულ — კულტურული ზრდა საქართველოსი; მაგ-

რამ არაბების დასუსტებით და ბიზანტიის გამაგრებით საქართველო მე-X-ე საუკუნეში კვლავ იწყებს აღორძინებას. ბიზანტიას დიდი კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი აღმოსავლეთისთვისაც. ბიზანტია აკვანი იყო ცივილიზაციისა. იქ დაიბადა და განვითარდა თითქმის ყოველი დარგი მეცნიერებისა. ამიტომაც თითოეული ერი, რომელიც მეზობლად ცხოვრობდა მასთან, ან რაიმე კავშირს იჭერდა, განიცდიდა მის კულტურულ ზეგავლენას. „არც ერთი მეზობელი ერი არ გადურჩა მის გავლენასაო“, ამბობს რამბოვე <sup>1)</sup>, სხვათა შორის ქართველებიც ბიზანტიის ძლიერ კულტურულ ზეგავლენას განიცდიდენ. პირველად ქრისტიანობა საქართველოში ბიზანტიიდან შემოვიდა. პირველი სასულიერო პირნი და მასწავლებელნი ბერძნები იყვნენ; აქაურ ლავრებში და მონასტრებში აღორძინდა ქართული სასულიერო მწერლობა და გადაითარგმნა სამღვთო წერილის წიგნები. ქართველებს თავიანთ ტერიტორიის გარეშე 50 მონასტერი ჰქონდათ სხვადასხვა ალაგას — სხვათა შორის კონსტანტინოპოლში ორი: მე-V-ე ს-ში იოანე ღვთისმეტყველის და მე-VIII-ე ს-ში იოანე წინამორბედის მონასტერი <sup>2)</sup>. ამ

1) L' Empire grec au deuxième siècle.

2) см. Культурная роль Швеции в истории Руси, Кириловъ.

მონასტრებში ბრწყინავდენ ექვთიმე, გიორგი და იოანე მთაწმინდელები და იოანე ფილოსოფოსი პეტრიწონელად წოდებული. კონსტანტინოპოლის, ათინის და სხვა სასწავლებლებში ქართველები სწავლობდენ; შემდეგში კი ეს მოვლენა ტრადიციად გადაიქცა და ყოველ წლობით 40-ზე მეტი ქართველი იგზავნებოდა საბერძნეთში უმაღლესი სწავლის მისაღებად. <sup>1)</sup> ერთი სიტყვით, მთელი საქართველოს კულტურის ბრწყინვალე შუქი ბიზანტიიდან ეფინებოდა; რის შემოხებით და ბრძენ ბაგრატიდების მართველობის ზეგავლენითაც საქართველო აყვავდა, კულტურული წინსვლა სიჩქარით წავიდა მე-X—XII-ე ს. ს. მე-XII-ესაუკუნესასიქადულო ეპოქა ქართველი ერის ცხოვრებაში, ეპოქა სრული პოლიტიკური და სამხედრო ძლიერებისა, ლიტერატურისა, ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების აღორძინებისა. ჩვენმა მე-XII-ე ს. გენიოსმა შოთა რუსთაველმა უკვდავ ჰყო ქართულიწენა თავისი ყოველი მხრივ შემკული თხზულებით—„ვეფხისტყაოსნით“. იყო დრო, როდესაც „ვეფხისტყაოსანი“ ძლიერ გავრცელებული იყო ხალხში. ჩვენს ისტორიას ახსოვს ისეთი სასიქადულო ეპოქა, როდესაც ეს პოემა აუცილებლად შედიოდა გასათხოვარი ქალის მზათევში. იყო დრო, როდესაც თითქმის ყველა ქალმა და ვაჟმა ზეპირად იცოდა მთელი „ვეფხის

(<sup>1)</sup> იხ. Всеобщая история Вардана Великого.

ტყაოსანი“<sup>1)</sup>, მაგრამ მალე ქართველი ერი მალლობიდან უფსკრულისაკენ დაექანა. ბრწყინვალე ოქროს ხანას თანდათანობით ბოლო ეღებოდა. ჯერ კიდევ მე-XIII-ე საუკ. დასაწყისში მონგოლებმა მიიტანეს იერიში საქართველოზე, როდესაც მონგოლები დასუსტდნენ, მცირე აზიაში გაძლიერდნენ ოსმალები, რომლებმაც მე-XV-ე ს დამლევს დაიპყრეს ლამპარის მთელი აღმოსავლეთისა ბიზანტია: 1453 წელს კონსტანტინოპოლი აიღეს, 1456 წ. კი ტრაპიზონი. ასე მოესპო ქართველებს საშვალება ჰყოლოდათ ქომაგი და მთელ აღმოსავლეთში მასთან ერთად საქრისტიანოს დამცველი სახელმწიფო და პირის-პირ წარსდგა ფანატიზმით გაჟღენთილ ოტომანის იმპერიის წინაშე. აქედან იწყება ჩვენი ერის უსაზღვრო წვალება და სისხლის ღვრა კულტურის და სარწმუნოების დასაცავად. „მოგვებსენებათო, — შესჩივის შრას თავის წერილში მეფე კონსტანტინე III იზაბელას, — სპარსელები სასტიკად გეტანჯავენ, უზომო ხარკს გვახდევინებენ, თავიანთ ჯარში საომრად გავყავართ და ძალით მაჰმადის რჯულს გვადებინებენ; ისინი ურიცხვი არიან, ჩვენ კი კონსტანტინოპოლის და ტრაპიზონის აღების შემდეგ მარტონი დავრჩით“<sup>2)</sup>. ბიზანტიის დაცემის შემდეგ ბუნებრივად იბადებოდა საკითხი, თუ ვინ უნდა

<sup>1)</sup> იხ. Исторія Грузии, проф. Марр, გვ. 33.

<sup>2)</sup> იხ. Присоединение Грузии къ Россіи. Аваловъ, გვ. 25.

ყოფილიყო ქრისტიანობის დამცველი აღმოსავლეთში. ამ კიბხვაზე შემდეგნაირად უპასუხებს ჩვენი სახელოვანი მამულიშვილი ეპისკოპოსი კირიონი თავის ღირსშესანიშნავ ნაშრომში „კულტურული გავლენა საქართველოს რუსეთზე“ : „ერთადერთ მემკვიდრედ მართლმადიდებელი სჯულისა აღმოსავლეთში, ამბობს იგი, და მისი დამცველი იყო სწორედ ის საქართველო, რომელიც იარაღით ხელში იცავდა წმინდა ადგილებს აღმოსავლეთში და არა მაშინდელი რუსეთი, როგორც გადმოცემულია ზოგიერთ რუსულ ისტორიულ ლიტერატურაში. დიდებული საქართველოს გვირგვინის მატარებლები იყვნენ დამცველნი იესო ქრისტეს საფლავის და წმიდა ადგილების აღმოსავლეთში, როგორც მოწმობენ ბერძნების და მუსულმანების მწერლები“<sup>1)</sup> მაგრამ მას შემდეგ, რაც ბიზანტია დაეცა, საქართველო მარტო დარჩა ბრძოლის ველზე მთელ აზიაში რკალივით შემორტყმულ აგარიანთა შორის და სწორედ ამ დროს დაობლებულმა საქართველომ მიაპყრო თვალი ჩრდილოეთისაკენ, სადაც მეორე საქრისტიანო სახელმწიფო ძლიერდებოდა და თანდათანობით მიიწევდა კავკასიისაკენ. ეს სახელმწიფო გახლდათ რუსეთი. ქართველებს წინადაც ჰქონდათ ხან არასასიამოვნო, ხან კი მეგობრული კავში-

<sup>1)</sup> იხ. Культурная роль Иверии в истории Грузии, გვ. 53.

რა რუსებთან. ჯერ კიდევ წმიდა ვლადიმერის დროს (მე-X-ე ს. ქ. დ. მ.) მოხდა საქართველოს დაახლოვება რუსეთთან, მაგრამ პირველშივე სამწუხარო იყო ეს დაახლოვება. საბერძნეთის მეფეს ვასილ II ახლდა დასახმარებლად ვლადიმერისაგან (რუსეთის მთავარია, რომელიც მას სიძედ მოხვდებოდა) გაგზავნილი რუსეთის ჯარი. სწორედ ამ დროს იქვე იყო საქართველოს მეფე ბაგრატ მე-III-ე თავის ჯარით. რუსთა და ქართველთა მხედართ უკმაყოფილება მოუვიდათ თივის გამო და ერთმანეთი ამოხოცეს. <sup>1)</sup> 1154 წელს კი მათ შორის ნათესაობითი კავშირი ჩამოვარდა. რუსის მთავარს იზიასლავ მსტისლავის ძეს ცოლად მიყავს საქართველოს მეფე დიმიტრის (1125-1156 წ.) ასული <sup>2)</sup> ბრწყინვალე თამარ დედოფლის პირველი ქმარი ხომ რუსი იყო — დიდის მთავრის ბოგოლიუბოვის შვილი გიორგი. ამ ძვილმა ნაცნობობამ დროთა მსვლელობაში თავისი ნაყოფი გამოიღო, ბრძოლის ველზე მარტო დარჩენილმა საქართველომ მიმართა ერთმორწმუნე რუსეთს კავშირის შესაკვრელად აგარიანთა წინააღმდეგ საბძოლველად და ქრისტიანობის დასაცველად. ამგვარი მიდრეკილება საქართველოსი რუსეთისადმი

<sup>1)</sup> იხ. Всеобщая история Стефана Тараскаго. писателя XI столѣтія, переводъ Эляико, гз. 200.

<sup>2)</sup> იხ. Бутковъ о бракѣ князей русскихъ съ грузинскими и ясыями, в. XII. Эляико.

მით უფრო ღრმავდებოდა, რამდენადაც მას საფრთხე მოელოდა გარეშე მტრებისაგან და შიგნით აღზნებული, უთანხმოების მეოხებით. ეს ღროც მოახლოვდა. მე-15-ე საუკუნემ საფუძველი გამოაცალა ჩვენს სამშობლოს და სამარისაკენ უქცია პირისაქმე ისაა, რომ ამ საუკუნეში ორი დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი მოხდა, ჩვენი სამშობლოსათვის თავზარდამცემი და უნუგეშო: ერთი მხრით დაეცა ლამპარი ცივილიზაციისა, ქრისტიანობის დამცველი ბიზანტია, მეორე მხრით კი ერთი მთლიანი საქართველოს სამეფო ~~ალექსანდრე პირველმა~~ ~~სამ სამეფოდ გაყო:~~<sup>1)</sup> ქართლის, კახეთის და იმერეთის და (6) სამთავროდ: სამცხე-საათაბაგოს, სამეგრელოს, გურიის, ათხაზეთის და სვანეთის. თავის საქციელით მეფე ალექსანდრემ ჩვენი ბედკრული სამშობლო ძაძით შემოსა: ოდეს მთელი სოციალური ორგანიზმი საქართველოს სამეფო დაქუცმაცდა, მოქალაქეობრივი მაჯის ცემა მისუსტდა, გაწყდა შემაერთებელი ძაფი საერთო ინტერესისა. თითოეული ახლად დაყოფილი კუთხე თავის კერძო ინტერესს იცავდა, საერთო საქმე არავის აინტერესებდა. გამეფდა სამეფოთა და სამთავროთა შორის მტრობა. ღმა ამხედრდა ძმის წინააღმდეგ. ამგვარ უნუგეშო მდგომარეობაში მყოფმა კახეთის მეფემ,

1) თუმცა მეფე ალექსანდრეს ამგვარი საქციელი საბოლოოდ გამორკვეული არ არის.

რადგანაც ამ მხარეს მტერი უფრო ადვილად ესე-  
ოდა, დესპანები გაგზავნა რუსეთში პირველად 1452  
წელს. თუ რისთვის იყვნენ საქართველოდან გაგზავ-  
ნილი დესპანები რუსეთში, რას თხოვეს რუსეთის დიდ  
მთავარს იოანე III-ეს, ან რა შედეგი მოჰყვა მათ  
შუამდგომლობას, არაფითარი ცნობა არ არსებობს.

ამის შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტმა მღუ-  
მარებაში განვლო: ქართველებმა რუსეთში დესპა-  
ნების გზავნა შესწყვიტეს. ამ ხნის განმავლობაში  
კი რუსეთი საგრძნობლად მიუახლოვდა კავკასიას:  
1552 წელს სამუდამოდ დაიპყრო ყაზანი, 1556  
წელს კი ასტრახანი. ამის შემდეგ იოანე მრისხანე  
კავკასიას დაუნათესავდა და ცოლად ყაბარდოს ბა-  
ტონის თემურქის ქალი წაიყვანა. სწორედ ამ დროს  
განაახლა მეფე ლეონმა რუსეთთან დამოკიდებულე-  
ბა და გაგზავნა დესპანები რუსეთში იმავ თემურქის  
დახმარებით; ასე რომ 1564 წელს კახეთის დესპა-  
ნებს რუსეთში ვხედავთ <sup>1)</sup>. როგორც „ქართლის  
ცხოვრებიდანა“ სჩანს, რუსეთთან შუამდგომლობას  
მიზანს მიუღწევია: იოანეს მიუცია სპანი კახეთის  
დასაცველად და ლეონს ისინი ციხეში ჩაუყენებია,  
მაგრამ რუსის ჯარი დიდ ხანს ვერ გაჩერებულა კა-  
ხეთში სიმცირისა გამო და ისევ რუსეთში დაბრუ-  
ნებულა <sup>2)</sup>.

1) А. Карамзинъ. Исторія Россіи. т. XI, гл. 268. прим.

2) იხ. „ქართლის ცხოვრება“. ტომი II გვ. 10.

ამგვარი იყო პირველი კავშირი რუსეთსა და საქართველოს შორის. სწორეთ მაშინ საქართველო, როგორც გარშემოც რკალივით ერთყენ აგარიანები. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდა. მე-XV-ე საუკუნის მიწურულში ოსმალებს გაცხარებული ომი ჰქონდათ სპარსელებთან და ქართველებთან. თითოეულ მათგანს სწაღდა საქართველოს ხელში ჩაგდება, მაგრამ მე-XVI-ე საუკუნის ნახევარში აღმოსავლეთი საქართველო დარჩა სპარსელების პოლიტიკური უფლების ქვეშ, დასავლეთი საქართველო კი ოსმალეთისაში. მე-XVI ღ XVII-ე საუკუნეში ფანატიზმით გაქვნილი ოსმალეთი შეიჭრა დასავლეთ საქართველოში, რასაც მოყვა გულ შემზარავი სისხლისღვრა და განადგურება ყოველისავე ჩვენი კათოლიკური განძისა, რასაც ეხლაც მოწმობენ არხეოლოგების, მხატვრების და ზოგჯერ რეზიდენტების კარგად ცნობილი ნანგრევები—ერთი სკეპტისო განძი ჩვენი ქალაქი დროის საეკლესიო არხიტექტურისა, რომელიც წარმოადგენს ივერიელ-ბიზანტიურ სტილს და რომელიც უღმობელმა ვანდალისებურმა ხელმა შემუსრა. მაგრამ ჩვენ აქამომდე შეგვრჩა სხვათა შორის ნაშთი წარსული სიდიადისა—ეს არის ნანგრევები მეფე ბაგრატ III მიერ აშენებული ტაძრისა ქ. ქუთაისში, რომლის კედლები, როგორც ჩვენი წარსული ცხოვრების მოწამენი, ამაყად გამოიყურებიან.

ერთი ისტორიკოსი ჩვენს უნუგეშო მდგომარე-

ობაზე შემდეგს მოგვითხრობს: „მე მგონია ქვეყანაზე არ მოიპოვება მეორე ხალხი, რომელსაც ასეთს ცუდ პირობებში შეხვედროდა არსებობა, როგორც საქართველოს. მუდმივი დარბევა, მუდმივი შემოსევა. შეუწყვეტელი ცდა გარეშე მტრების მოსაგერებლად — აი რას ვხედავთ საქართველოში“.

მტრისაგან ამდენ აოხრება-აწიოკებას ვერ გაუძლო დასუსტებულმა ისედაც შინაგან უთანხმოებით საქართველომ და 1783 წელს რუსეთსა და საქართველოს შუა შეკრულ იქმნა ტრაკტატი, რომლის ძალითაც რუსეთმა აღუთქვა საქართველოს მფარველობა, გარეშე მტრებისაგან მოგერიება, ხოლო საქართველომ ვასალური მორჩილება. მაგრამ დახვთ უბედურებას, ალა-მაჰმადხანმა, უსასტიკესმა და ბოროტებით აღსავსე მხეცმა, მხოლოდ ადამიანის სახით მოვნილებულმა, შური იძია: მეხივით დაეცათფილისს და ქვა-ქვაზე არ დასტოვა (1795 წ). რუსეთიდან გამოგზავნილი დამხმარე ჯარი მხოლოდ მაშინ მოვიდა, როდესაც ალა-მაჰმადხანმა ქართველების სისხლი საკმაოდ დალია. ყველა შემომოყვანილმა ისტორიულმა ფაქტებმა ერთგვარი პოლიტიკური ატმოსფერა შექმნა ამ ჩვენთვის უნუგეშო ისტორიულ მომენტში. ჩვენმა მეფეებმა-კი სრული უვიცობა და წინდაუხედაობა გამოიჩინეს პოლიტიკურ კითხვებში. თუ ისინი დახელოვნებული იყვნენ სპარსეთ-ოსმალეთთან ბრძოლაში და ოსტა-

ტურად მიყავდათ საქმე, ახლა ირთმანეთთან კიშ-  
პობის მეოხებით ხაფანგში გაებენ.

უკანასკნელის ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII  
გარდაცვალების შემდეგ, 1801 წელს, 12 დეკემბერს  
ალექსანდრე პირველმა გამოსცა მანიფესტი საქართ-  
ველოს რუსეთთან შეერთების შესახებ დასავლეთსა-  
ქაროველო კი შეუერთდა რუსეთს უფრო გვიან

1910 წელს, 10 მაისს უკვე შესრულდა ასი  
წელი, რაც იმერეთის სამეფო შეუერთდა რუსეთს.  
1916 წელს 7 თებერვალს კი განვილო ასმა წელმა  
სოლომონ მეფის გარდაცვალების დღიდან. ახლა  
კი შეძლება გვეძლევა განვიხილოთ სხვადასხვა წყა-  
როები, მიუდგომელი ისტორიული საზომის თვალ  
საზრისი ალვადგინოთ წარსული და ვსთქვათ ის-  
ტორიული სიმართლე. თუ რომელიმე ხანა ამა თუ  
იმ ეროვნებისა საინტერესოა, მაშინ იმერეთი რუსეთთან  
შეერთების ხანა დიდად საუურადღებო მოვლენად უნდა  
ჩაითვალოს. თუ რომელიმე ისტორიული კმირი იქცევდა  
ისტორიკოსის უურადღებას, მაშინ ჩვენი უკანასკნელი  
ისტორიული აქტის გმირმა, სოლომონ II უნდა დაგვან-  
ტერესოს. ეს პიროვნება ყურადღებას იქცევს არა  
მარტო მით, რომ მას კრიტიკულ მომენტში მოუ-  
ხდა ისტორიულ სარბილეზე მოქმედება, არამედ  
იმიტომაც, რომ მისმა შეუდრეკელმა პიროვნებამ  
სხვადასხვა დროში მანან შეწონილი მოქმედებით,  
მაგრამ პირდაპირ მსვლელომა თავის უფლების დასა-

ცავად, დიდი გავლენა იქონია ამ ისტორიულ აქტზე. სწორედ ამის მიხედვით წარმოადგენს მეცნიერულ ინტერესს სოლომონ II-ის სულიერი განცდა. მიხილეთრაგიზმი არის, თუ გნებავთ, მის ქვეშევრდომთა ერთგვარი უიმედობის ამოძახილი. სოლომონ II-ის უკანასკნელი მეფობის ისტორია არის მხოლოდ უკანონობასთან ბრძოლა, ბრძოლა სუსტისა მძლავრ მოწინააღმდეგესთან. გადავაგლოთ თვალი იმერეთის რუსეთთან შეერთების ისტორიას, რომ რაც შეიძლება, ნათლად წარმოვიდგინოთ სოლომონ II-ის პიროვნება.

რუსეთის ცენტრალისტური მართველობის ტენდენცია იყო რუსეთის საზღვრების გაფართოება. ბურჯნი ამა ქვეყნისანიყოველ საშუალებას ხმარობდენ, (მათ შორის გამეფებული იყო პრინციპი მაკიაველის, : მიზანი ამართლებს საშუალებას) როგორმე განეხორციელებიათ თავიანთი მისწრაფებანი. როგორც ვიცით, 1801 წ. რუსეთის იმპერიას ქართლ-კახეთი შეუერთდა და ორგანიული ნაწილი კი უკანასკნელისა — იმერეთის სამეფო, კიდევ რამოდენისამე წლის განმავლობაში თავისუფლად სამეფოდ ითვლებოდა. მაგრამ რუსეთის ცენტრალისტურ სახელმწიფოს, რომელმაც, რაკი კავკასიაში ნაბიჯი შემოდგა, რაკი შემოიერთა ნაწილი ორგანიული მთელისა, უნდა გადაეფარა შემდეგი ნაბიჯებიც, რადაც უნდა დაჯდომოდა ეს. ჩრდილოეთიდან

წამიწულმა აზვირთებულმა ტალღამ კრიტიკულ მომენტში მოუსწრო იმერეთის სამეფოს და მით უფრო ადვილად მოაქცია ის თავის ჯურღმულის მორევში. [იმერეთის მეფე სოლომონ II ავიდა ტახტზე 1790 წელს. მას მოუხდა მედგარი ბრძოლა თავის ბიძაშვილთან — დავით გიორგის ძესთან, რომელიც ტახტიდან ჩამოგდების შემდეგაც არ ცხრებოდა და ყოველ მოახერხებულ შემთხვევაში მზად იყო ხელი გაეწია ტახტისაკენ. ამიტაც არ დაკმაყოფილდა: დავითს ვერაგული განზრახვაც კი უტრიალებდა თავში: უნდოდა სოლომონ II წუთისოფელს გამოეყოს და სისხლით შეეღებინა ტახტზე თავის სახელით მეფობის დროშა კვლავ აეფრიალებინა. დასახული მიზნის მისახწევად დავით გიორგის-ძემ, მიუხედავად ფიცისა, რომელიც დასდო მეფე ერეკლეს და ახალციხის ფაშის თანდასწრებით, რომ ის მეგობრულსა და ძმურ განწყობილებას დაიჭერდა სოლომონ II-თან, გააბა 1794 წ. ბორცოტების ქსელი ვრიგოლ დადიანის, აბაშიძის და თვით ახალციხის ფაშის დახმარებით, მაგრამ ამ ქსელში თვისივე გაება. როდესაც სოლომონ II გაიგო ამ შეთქმულების ვითარება, დავითმა შეფუცა მეფეს ერთგულებაზე და მძევლად გაუგზავნა სამი წლის შვილი კონსტანტინე, რომელიც სოლომონ მეფემ რაჭაში მუხურის ციხეში დაატუსაღა <sup>1)</sup>. ამის შემდეგ

<sup>1)</sup> იხ. АКТЫ Кавказ. Арх. Ком., Т. I, § 5.

გაც არ ცხრებოდა დავითი და ქიშობას კვლავ გან-  
 ნაგრძობდა. მან შვატაკა სოლომონ შეუეს სამეგრე-  
 ლოს მთავარი დადიანი, რომელიც მეფის ხელქვეით  
 იმყოფებოდა. რაკი შიგნით არეულობამ თავი იჩი-  
 ნა, სოლომონ მეფეს მხოლოდ შორსმჭკრეტელო-  
 ბით და მიზანშეწონილ მოქმედებით შეეძლო შიგ-  
 ნიდან დაწყებული არეულობის ჩაქრობა და კიდევაც  
 მიაღწევდა მიზანს, რომ სწორედ ამ დროს ჩრდი-  
 ლოეთიდან გამოშვებულ შავ კატას არ გადაერბინა  
 მის სამეფოში. ეს მით უფრო საგრძნობელი ღ ჟთან-  
 ხმოების გამაღრმავებელი იყო, რომ იმერეთში ფეო-  
 დალურ ვასალური განწყობილება სუფევდა. ამის  
 შესახებ შემდეგს ამბობს მაშინდელი კავკასიის მთა-  
 ვარძართებელი თავ. ციციანოვი: „ამერეთში აქედან-  
 დური მართკლება აყო მაზეზი ამისა, რამ მკუეს არ ქქან-  
 და ჯეროკანი გაველეს თავადებზე, რომლებიც ურთაურთ  
 შორას მტრობდენ დახშობდ სტოვებდენ მეფეს მარტოდ  
 ამიანობის დროსაც კი, ამიტომაც შე საჭაროდ ვსტან,  
 სანამ ამერეთში შევიდოდე, გავგზავნო ავანგარდი თქ-  
 როთი და ვერცხლით მათ საცდუნებდათო“<sup>1)</sup>. გურიი-  
 შვეგრელოს სამთავროები სოლომონ მეფის ხელ-  
 ქვეით იმყოფებოდენ და ამიტომ ისინი ყოველ შე-  
 საფერ შემთხვევაში მზად იყვენ გაელაშქრათ სოლო-  
 მონ II წინააღმდეგ და ვაეუქმებინათ მასთან ვასა-  
 ლური დამოკიდებულება. მართლაც 1794 წელს

<sup>1)</sup> АРТЫ, Т. II, 722.

გრიგოლ დადიანს აფხაზთა, გურულთა, ლეკთა და ოს-  
მალთა დახმარებით უნდოდა იერიში მიეტანა ამ  
შეერთებული ძალით იმერეთის დედა ქალაქ ქუ-  
თაისზე. მაგრამ სოლომონ მეფემ გზა შეუკრა აფ-  
ხაზებს, სძლია ისინი და დასტოვა ბრძოლის ველი  
მტრის სისხლით გაპოხიერებული და, როგორც თვით  
სოლომონ მეფე მოგვითხრობს, ხელში ჩაიგდო დიდ-  
ძალი ტყვე. დაინახა რა თავისი მოსარჩლის და-  
მარცხება დადიანმა, აფხაზებს გაიქცა. ამგვარად  
გამოვიდა სოლომონ მეფე ბრწყინვალე გამარჯვებუ-  
ლი, რომელსაც ერეკლე II<sup>1)</sup> დახმარება აღმოუჩინა  
თავისი შვილის მეთაურობით გამოგზავნილ არტილ-  
რიის საშუალებით. გაქცეული დადიანის მაგვრად  
სოლომონმა სამეგრელოს მთავრობა უბოძა უმცროს  
ძმას მანუჩარს. გურიელებმა ქვეშევრდომობა განაცხა-  
დეს, დავით გიორგის ძე კი 1795 წ. ახალციხეში  
ყვავილით გარდაიცვალა. ამგვარად აღადგინა მშვი-  
დობიანობა სოლომონ მეფემ მის ხელქვეითთა შორის.  
სოლომონ მეფეს ძლიერ კარგად ესმოდა  
შეერთებული ძალით მოქმედების მნიშვნელობა  
და ამიტომაც ის ჯერ კიდევ 1790 წელს შეეკრა  
ტრაკტატით მეფე ერეკლე II და გურია-სამეგრე-  
ლოს მთავრებს, რომლებმაც შეფიცეს, ჯაყვით  
ურთიერთ შორის მჭიდრო კავშირი: მტერი ერთის  
მთავანისა უნდა ყოფილიყო საერთო მტერი, ერთი

<sup>1)</sup> იხ. АКТЫ Кав. Арх. Ком., Т. I., გვ. 695.

მათგანის გაქვივრება და ლხენა უნდა ყოფილიყო საერთო განსაცდელი და შვება <sup>1)</sup>). სოლომონ II, რაკი შინაურ კეთილ-განწყობილებას ჩაუყარა საფუძველი, მოინდომა თავისი პოზიციის გასამაგრებლად რუსეთთან მეგობრული კავშირის დაქვერ და ამ მიზნით კიდევაც გაგზავნა 1791 წ. პეტერბურგს ბესარიონ გაბაშვილი, რომელსაც დაახლოვებით შემდეგი დაავალა: გამოეთხოვა იმპერატორისათვის იმგვარი ხელშეკრულობა, რიგორიც 1783 წ. დაუდო ქართლ-კახეთის მეფეს, დაეარსებინა ოსმალეთს, საკონსულო ახალციხეში ბოროტგანზრახვის ასალაგმავად, მოეგვარებინათ ნავთსადგური ბათუმსა, ფოთსა, გურიასა და ოდიშში რუსეთის აღებ-მიცემობის გასაძლიერებლად, ხელი შეეწყოთ აფხაზეთის განთავისუფლებისთვის პორტსაგან, რომ მათ შორის აღორძინებულიყო ქრისტიანობა და რუსეთისადმი ერთგულება <sup>2)</sup>).

სოლომონ II ს უნდოდა ამგვარი ზოქებით შინაგანი და გარეგნული მშვიდობიანობა დაემყარებინა და დასავლეთ საქართველოში ერთი მძლავრი სამეფო დაეარსებინა, მაგრამ იმ უთანხმოებამ, რომელიც არსებობდა სამეფოში, კვლავ თავი იჩინა და გაიზარდა უდიდესი სიჩქარით, რასაც გარეგნული

<sup>1)</sup> იხ. Грамоты. Т. II., вып. II. Проф. А. А. Цагарели. გვ. 67.

<sup>2)</sup> Грамоты. Т. II., вып. II. проф. Цагарели, გვ. 70 -- 71.

მთავარებაც ხელს უწყობდა. საქმე ის არის, რომ დაფიქრდა დადიანი არა ცხრებოდა; მას უნდოდა თავი დაეხწია სოლომონ მეფის ხელქვეითობიდან და გამხდარიყო დამოუკიდებელი სამთავროს მართველი. ამ მიზნით მან სთხოვა რუსეთის მთავრობას 1801 წელს მიეღო სამეგრელოს სამთავრო მის მთავრობის ქვეშ <sup>1)</sup>. ამასთანავე იმერეთის დედოფალმა ანამ (დავით გიორგის ძის მეუღლემ) ამცნო იმპერატორს მისი სამი წლის შვილის კონსტანტინეს დატუსაღება სოლომონ მეფის მიერ და ითხოვდა მასგან დაცვას, <sup>2)</sup> შემდგომი დედოფალი თვით წარუდგა იმპერატორს პეტერბურგში და სახოვა განთავისუფლებია მისი დატყვევებული ვაჟი. <sup>3)</sup> აი სწორედ უმთავრესი ნასკვი სოლომონ მეფის წინააღმდეგ, რომელიც ადგილობრივი მართველების მეოხებით შემდგომში მსხვილ კვანძად გადაიქცა. სოლომონ მეფის საწინააღმდეგოდ დაწყებულმა საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო. ჯერ კიდევ 1802 წელს გაგზავნილ იქმნა იმერეთში სახელმწიფო კოლეგიის გარეშე საქმეთა მოხელე სოკოლოვი, რომელსაც უნდა გადაეცა რუსეთის მეფის გრამოტა მეფე სოლომონისთვის დედოფალ ანას შვილის განთავისუფლე-

1) Акты Кав. Арх. Ком, т. I., стр. 700.

2) იქვე, 703.

3) Архивъ министер. иностр. дѣлъ, № 13.

ბის შესახებ <sup>1)</sup>, მაგრამ სოკოლოვის მისიამ ვერ მი-  
აღწია მიზანს: სოლომონ მეფემ სხვადასხვა მიზეზე-  
ბის გამო უარი სთქვა კონსტანტინეს განთავისუფ-  
ლებაზე და დასძინა, რომ კონსტანტინე მას სურს  
თავის მემკვიდრედ გაიხადოს, რადგანაც მას შვილი  
არა ჰყავს. სოკოლოვმა კი სხვათრივ ახსნა სოლო-  
მონ მეფის მტკიცება და გენ. ლაზარევს შემდეგი  
ცნობა გაუგზავნა: ვითომ სოლომონ მეფე მონაწილეა-  
ბას იღებდეს ბაგრატიდების შეთქმულობაში, რომ განათა-  
ვისუფლებს ქართლ-კახეთი რუსების ბატონობიდან და და-  
სჯან ტახტზე მეფის ძე იულონი <sup>2)</sup>. სოლომონ მეფეს  
ამ დროს არაერთი ცუდი განზრახვა რუსების მამართ-  
არ ჰქონდა, წინააღმდეგ, მათი მხარე ეჭვითაა. მაგალითად,  
როდესაც სოლომონ მეფემ ბაბახანიდან ფირმანი მიიღო  
(1802 წ.), რომლითაც არწმუნებდა რუსების წინააღმდეგ  
გადაშტრებას მასთან ერთად, სოლომონ II-ეს წინადადება  
უარქმევდა და პირი ამ ფირმანისა გაუგზავნა რუსის გენ.  
კორნინს. სოლომონ მეფე სხვის საქმეებში არ ერე-  
ოდა, მხოლოდ თავის სამეფოში მშვიდობიანობის  
დამყარება სწადდა. ამასვე ამტკიცებს იმერეთის ჯა-  
რის უფროსი ობიტვინოვი: „სოლომონ II-მისნად  
აქვს დასახული არა სხვაზე დაცემა, არამედ მხოლოდ თა-

<sup>1)</sup> იქვე, 735. და Арх. Минист. Им. дѣлъ, Высочайшее  
предписаніе кн. Циціанову отъ 23 февраля 1803 г.

<sup>2)</sup> იქვე, 744.

ვის დაცვა“<sup>1)</sup>. სხვები კი, წინააღმდეგ, უშლიდენ ხელს მის განკარგულების სისრულეში მოყვანას: მაგალითად, როდესაც სოლომონ მეფემ მხედრობა შეკრიბა გრიგოლ დადიანის საწინააღმდეგოთ, გენერალმა ლასარევმა მოსთხოვა ეცნობებია მისთვის მიზეზი ჯარის შეკრებისა. სოლომონ მეფემ ამ შეკითხვაზე შემდეგნაირად უპასუხა: „როდესაც მე გადმომეტა სამეფო ტახტი ჩემ წინაპართაგან, მასთან ერთად მივიღე თვითმშერობელი ძალა შევკრიბო და გაუშვა ჯარი ჩემი სამეფისა“<sup>2)</sup>. ამგვარი საქციელით მეფემ აღგილობა იგი რუსი მმართველების გულის წყრომა გამოიწვია. მიუხედავად ამისა შეკრებილი ჯარით გაილაშქრა მეფე სოლომონმა ურჩი ვასალის გრიგოლ დადიანის წინააღმდეგ, რომელიც გამოვიდა აფხაზეთის მთავრის ქელეშბეჟის დახმარებით, და აიღო ოდაში, ლეჩხუმში, გურია, სვანეთი და აფხაზეთი თვით შავ ღღვამდე<sup>3)</sup>. მაგრამ გამარჯვება სოლომონ მეფისა ეფემერული და მსწრაფლოვარდამავალი იყო, რადგანაც სამეფოს შიგნით აღგზნებულ უთანხმოებას მაკრად ჰქონდა გამჯდარი ფესვები. რუსეთი უკვე ექიმბაგებოდა დადიანს, როგორც მის ხელქვეით მყოფს და სწორედ ამის გამო აღინათ პირველი ნაპერქალი უსიამოვნებისა, რომელიც გაიზარდა და ჩაუქრობელ

1) АКТЫ, Т. II, 83. 816.

2) АКТЫ, Т. I, 745.

3) АКТЫ, 761.

ალად იქცა, რამაც ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩააგდო სოლომონ მეფე. უკანასკნელის უნუგეშო მდგომარეობა გაორკეცდა მას შემდეგ, რაც გრიგოლ დადიანმა, სამეგრელოს მთავარმა, თავი შეაფარა რუსეთის ორთავიანი არწივის ფროას და ფიცი დასდო მის ერთგულებაზე 3 დეკემბერს 1803 წელს; სამაგიეროთ სოლომონ მეფის მიერ წართმეული ლეჩხუმი მის სამფლობელოში უნდა შესულიყო, რაც მოხსენებული იყო ხელშეკრულებაში გენ. ციციანოვის თანხმობით. ამასთანავე დადიანი ითხოვდა სოლომონ მეფის წინააღმდეგ დახმარებას. სოლომონ მეფე ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი და გარემოების ამწონ-დამწონი ადამიანი იყო; მას ქართველების ბისმარკსაც კი უწოდებდენ <sup>1)</sup>. ბუნებით დაჯილდოებულმა მეფემ შეიგნო კრიტიკული მდგომარეობა და იწყო გარემოების მიხედვით მოქმედება, მაგრამ ყოველივე ცდა, რომ შეენარჩუნებია სამეფო ტახტი, ქარწყლდებოდა მის წინააღმდეგ ამხედრებული პირების და რთული ისტორიული ფაქტორების მეოხებით. ამ მდგომარეობაში მყოფმა მეფემ ქედი მოიხარა და მზად იყო აესრულებინა რუსეთის მეფის მოთხოვნა. სოლომონ მეფემ მართლაც განათავისუფლა დედოფლის ანას შვილი კონ-

<sup>1)</sup> იხ. Соколовъ. „Мое въ Имеретіа путешествіе“ და „Присоединеніе Грузіи къ Россіи“, Ад. Борже.

სტანტინე მუხურის ციხიდან 10 წლის ტყვეობის შემდეგ. აგრეთვე ურჩევდა მეფე სოლომონი ბატონიშვილებს ფარნაოზს და იულონს გამგზავრებულიყვნენ რუსეთს <sup>1)</sup>. ამჟერატორი ალექსანდრე I სწერდა კენ. ციცანავს, რომ მას ფუღით მოესყიდა მეფე სოლომონ II, ოღონდ მის დახმარებით ხელში ჩაეგდო ბატონიშვილება ალექსანდრე და იულონით.

ამის შემდეგ სწერდა მთავარმართებელი ციციანოვი გარეშე საქმეთა მინისტრს გრაფ ვორონ-ცოვს: „მეფე სოლომონმა ზემო მოყვანელი საქციელით უფრო მეტად დაამტკიცა საქმით სრული ერთგულება და ნდობა რუსეთისადმი და მასთანავე არა ფარისევლური მოჩივლება მისი ი. უდიდებულესობის ნებისაო“ <sup>2)</sup>. ამის შემდეგ ი. ალექსანდრე I-მანიშნად განსაკუთრებული ყურადღებისა უბოძა სოლომონ II ორდენი ალექსანდრე ნეველისა, რომლის ნიშნებიც აღმასით მორთული გამოუგზავნა მთავარმარ. ციციანოვს მეფის გადასაცემად <sup>3)</sup>. სოლომონ მეფეს უნდოდა რუსეთთან მჭიდრო კავშირი ჰქონოდა და ისეთი პირობები შეექმნა, რომ ჯორთიერთს დახმარებოდნენ, როდესაც ეს საჭირო იქნებოდა მათთვის <sup>4)</sup>. ამ მიზნით და დადიანის ბოროტების აღ-

1) Архивъ мин. инос. дѣлъ № 45.

2) Акты, т. II № 701, 1251.

3) ი.ვე: 706.

4) ივე: II, 696.



საკვეთად სოლომონ მეფემ ისურვა რუსეთის ჰვარ-  
ველობის ქვეშ ყოფნა. მან შეადგინა სათხოვარი მუ-  
ხლები და მდივანბევს სოლომონს გაატანა პეტერ-  
ბურგს მ. ი. უდიდებულეებასთან დასამტკიცებლად.  
შინაარსი სათხოვარი მუხლებისა შემდეგი იყო:

1) მე სოლომონ, ბაგრატიონთა ჩამომავალი,  
მეფე სრულიად იმერეთისა და კანონიერი მფლო-  
ბელი იმერეთის სამეფოისა, ამ აქტის ხელმოწერის  
დღიდან ფიციით დაპირების აღსრულების შემდეგ თვით  
და ყოველი ჩემი კანონიერი მემკვიდრეებით და სრუ-  
ლი ჩემი სამეფოთი ვენდობი სამკვიდრო და ერთ-  
გულ მორჩილებას და ქვეშევრდომობას უმაღლესის  
სრულიად რუსეთის სახელმწიფოს აწ ბედნიერად  
მფლობელს უუგანთლებულესსა და უუმორქმულესს  
დიდს ხელმწიფე იმპერატორს ალექსანდრე პავლეს  
ძეს, თვითმპყრობელს სრულიად რუსეთისას ღ მის  
მაღალ მემკვიდრეს -

2) მეორე მუხლში სოლომონი ითხოვს, რომ  
იმპერატორმა წყალობა მოიღოს, რათა იგი, ძენი  
მისნი ღ, თუ მამრობითი მემკვიდრე არ მისცა ღმერთ-  
მა, მის შემდეგ ბატონიშვილი კონსტანტინე და-  
ვითის ძე და მისი ჩამომავალნი უფროსობით აღქუ-  
რილნი იყვნენ იმერეთის მეფის უფლებებით და  
წინაშე იმპერატორისა ერთგულების მოვალეობითა,  
რის დასამტკიცებლად გაბედნიერდეს უმაღლესი წყა-  
ლობის წერილით (გრამოტით), როგორც თვით.

აგრეთვე მისი ჩამომავალნი ტახტზე ასვლისთანავე და დამტკიცებულ იყოს გურიის იმერეთისაგან ხელქვეითობა.

3) მეფე ითხოვს, რომ იმერეთის სამეფოში მას ეკუთვნოდეს სამართლას წარმოება და მიეცეს მას კანონი, რომლის ძალითაც დაისჯებოდნენ კაცის მკვლელნი, ტყვეების გამყიდველნი, ქურდები და ავაზაკნი, რადგანაც სიკვდილით დასჯა რუსეთში აკრძალულია.

4) ითხოვს რუსის ჯარს მტერთაგან დასაცველად და მშვიდობიანობის დასამყარებლად.

5) თუ ოქრო-ვერცხლისა და სხვა მადნების შემუშავება დაიწყება, ნუ მოაკლებს იმპერატორი მას იქიდან შემოსავლის ნაწილს.

6) ახალი გაშენებული ქალაქის შემოსავლიდანაც ნაწილი მომეცესო.

7) ამ თხოვნის სანაცვლოდ ვპირდები ერთგულებას იმპერატორსაო.

8) ვალდებული ვარ რუსის ჯარს აფუშენო ღ გაუთბო სახლიო.

9) ამ ჯარს უნდა ვაძლიო პური, ღომი, ქერი, თივა იაფ ფასადაო.

10) მადნების შესამუშავებლად იაფ ფასად ვუშოვნო მუშებიო.

11) თუ იმერეთის ტყე გამოსადეგი იქნება რუსის ფლოტისთვის, იგი არ აუკრძალავს ტყეში სა-

რგებლობას იმ ხეებით, რომელსაც რუსის აფუცრები აირჩიევენ ხალხი ხეების მოსაჭრელი და გასატანი ცოტაოდენი უნდა მეფის სასარგებლოდ გადაიხადონო.

12) დადიანის სამფლობელოდან წამოყვანილ ტყვეებს დავაბრუნებ ღ მის მამულზე პრეტენზია არ მექნებაო.

13) გავწმენდ გზას ქართლისაკენ. ოდიშსა და ფოთისაკენ და კარგად შევინახავო.

14) კონსტანტინე დავითის ძეს ვუთმობ მამულს, რომელსაც ეწოდება საბატონიშვილო.

15) მეფე ითხოვს, რომ ბატონიშვილი ან ქართლში ან რუსეთში გადასახდონ, მისცენ შესაფერი განათლება და იმერეთს მოაშორონ მიზეზი აღელვებისა.

16) ნავთსადგურებიდან ქართლში იმერეთზე გატარებულს საქონელზე ბაჟს არ აიღებს, ამის მაგივრად ითხოვს რუსეთის საბჭო შემოსავლიდან დანიშნულ ნაწილს.

17) გადასვლა იმერეთიდან ქართლში აკრძალულ იქნას.

ამ მუხლებს ხელს ვაწერ და ფიცით ვპირდები იმპერატორს ერთგულებას <sup>1)</sup>.

1) მოყვანილი მუხლების შინაარსი იხ. АКТЫ, Т. VI. доп. и прилож. ко 2 части № 48.

ქ

როდესაც მეფისგან გაგზავნილი მდივანბეგი ლეონიძე რუსეთის სატახტო ქალაქში იმყოფებოდა თავის მისიის შესასრულებლად, სწორეთ ამ დროს კავკასიის მართველებმა შემდეგი აცნობეს უმაღლეს მთავრობას პეტერბურგში: სოლომონ მეფემ ველურად მოაკვლევია ერთგულ დადიანისაგან გენ. ციციანოვთან გამოგზავნილი კაცი და სულთანს კაცი გაუგზავნა და სთხოვა რუსების კლიანჭებიდან თავი დამახწყვიცო<sup>1)</sup>). რასაკვირველია, ამ ამბავმა უმაღლეს სფეროში აღშფოთება გამოიწვია, რის შემდეგ იმერეთის სამეფოს პედის ვადაწყვეტა გენ. ციციანოვს მიანდევს<sup>2)</sup> თავ. ლეონიძე პეტერბურგიდან თფილისში გამოგზავნეს გენ. ციციანოვთან ყოველისავე საქმის გადასაწყვეტად. ასე უნაყოფოდ ჩაიარა ლეონიძის მისიამ წამოყენებული ბრალდების მეოხეობათ. აღვილი შესაძლებელია, რომ ეკლავ ზემო წა მოკენსულა ბრალდესა სოლომონ მეფის წინააღმდეგ სამშობლას მოლაღატკათა ანსისუცა იყო. თვით სოლომონ შეუყე ამტკიცებს, რომ მას ანაწათარა საქმე არ ჰქონას სულთანთან, არც კანა გაუგზავნია, არც წერილობათ ანაფერი არ შეუტეობინებია.

ერთი სიტყვით რუსეთის საწინააღმდეგოთ არაფერი განუზრახავს, ან კი როგორ განიზრახავდა ცუდს რასმე, როდესაც პეტერბურგში მდივან ბეგი სოლო-

1) იხ. АКТЫ, 1797, № 667

2) იხ. АКТЫ, т. II, გვ. 726.

მონი ყავდა გაგზავნილი და საქმის დაბოლოებას სიხარულით მოელოდა. რაც შეეხება დადიანის მიერ გამოგზავნილ კაცის მკვლელობას, შემდეგნაირად მოხდაო, განაგრძნობს სოლომონ მეფე: დადიანისაგან გამოგზავნილი კაცი, გვარად კვინიხიძე, ჩემი ქვეშევრდომი იყო, რომელიც დიდი ხანია გაიქცა საქურდ-ბაცაოდ; მან ბევრჯერ ჩაიდინა საქმე, ღირსი სიკვდილით დასჯისა, ბოლოს გზის მკველებმა ქორღობის დროს მოუსწრეს მას და მოკლესო: ამასვე ამტკიცებს ქუთაისის მიტროპოლიტი დოსითეოსი<sup>1)</sup>. სოლომონ მეფის არაკეთილის მსურველნი სისტემა-ტიურად ავრცელებდნენ სიცრუეს, რომ მით აემხედრებიან რუსეთის მთავრობა მეფის წინააღმდეგ. უკუ-დასუ უფრო უსამაყნება იმ ხმამ გამოიწვია; ვითომ საღამონ მეფე უოგეჯგვარ დასმარებას უწევდეს ბატონიშვილების იუფანს და ფანანაფს. მაგრამ ამის შესახებ აი, რას ამბობს თვით მთავრობის წარმომადგენელი სოკოლოვი: „დასმარება მათთვის მეფეს არ უნდა და, ან არ შეეძლო“<sup>2)</sup>. ბატონიშვილების ჩამოსვლა იმერეთში მძიმე ტვირთად დააწვა იმერეთს, რადგანაც ზედმეტი გადასახადი იყო გაწერილი, რაც არ მოსწონდა მეფეს<sup>3)</sup>. ბატონიშვილ კონსტანტინეს მოწაპლაც კი დააბრალეს მეფეს; მაგრამ

<sup>1)</sup> იხ. АКТЫ. т. II. гл. 817, 818.

<sup>2)</sup> იხ. Путеш. въ Имер. Соколовъ гл. 112.

<sup>3)</sup> იხ. Присоед. Грузія къ Россіи, Дубровинъ, гл. 202

ტყუილი გამოდგა. როგორც სოკოლოვი მოწმობს, რუს იმპერიალისტების ინტრიგების მეხებით სოლომონ მეფემ სწაღდეს ეგრ მიღწია და მისი მდივანბევი ლეონიძე ციციანოვთან იქმნა გამოგზავნილი საქმის გადასაწყვეტად ციციანოვმა ზოგიერთი მუხლის შეცვლა მოითხოვა, მაგრამ ლეონიძეს ნება არ ჰქონდა მთავარმართებლის სურვილს დაყოლოდა და ამიტომაც საქირო შეიქმნა დაწყებული საქმის დასაბოლოებლად გენ. ციციანოვის და სოლომონ მეფის ერთად შეყრა. უკანასკნელი კიდევაც შეიკრიბენ პირველად 1801 წ. 19 აპრილს ელაზნაურში, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ. რადგანაც გენ. ციციანოვს არ უნდოდა ლეჩხუმი იმერეთის სამეფოს ტერიტორიაში შესულიყო, რადგან ეს პროვინცია ხელშეკრულებით დათმობილი ჰქონდა დადიანს. როდესაც სოლომონ მეფემ ეს გაიგო, დაჟინებით მოითხოვა ლეჩხუმი მისთვის დაეთმოთ<sup>1)</sup>. ბოლოს ხანგრძლივი თაობირის შემდეგ 25 აპრილს 1804 წ. მეფემ მხოლოდ მაშინ მოაწერა ხელი და შეფიცა იმპერატორს ერთგულებაზე, როდესაც გენ. ციციანოვი ფიცის ქვეშ დაპირდა ლეჩხუმის მის სამეფოზე შეერთებას, თუ მეფე შესაფერ საბუთს წარმოადგენდა. ამის შემდეგ გენ. ციციანოვმა სოლომონ მეფეს მიართვა ალექსანდრე

1) იხ. АРТЫ, т. II, стр. 748, № 9.

ნეველის ორდენი უმაღლესად ბოძებული 1).

რედესაც ისტორიკოსი იმერეთის რუსეთთან შეერთებას ისტორიკოს იხილავს, უმაჯრესა უუადღება 25 ანრილის 1804 წლას ხელშეკრულებას უნდა შაქცინოს, რამლას ძალითაც ამერეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა.

უკანასკნელი აკტი კი, როგორც ვიცით, ორივე მხრივ სრული ნებაყოფლობით მოხდა. ამიტომაც ვასაკვირვე-

ლია ზოგიერთის, აზრი, — ვითომ რუსეთს იარაღის ძალით დაეპყროს იმერეთი. თვით გენ. ცაიანოვი, რომლის ზეგავლენითაც უმაჯრესად მოხდა ეს ისტორიული აკტი, აი რასა სწერს იტალიისკის ამის შესახებ: „იმერეთის სამეფო ნებაყოფლობით შეიქმნა შეერთებული რუსეთის სამეფოებლასთან“ 2). იმპერატორ ალექსანდრე I-ს თავიდანვე ძალით კი არა, ნებაყოფლობითაც არ უნდოდა იმერეთის რუსეთთან შეერთება. აი მისი რესკრიპტი მთავარ-მართებლისადმი: „მე განვიზრახე და საჭიროთ ვთვლი, თქვენ მოგანდოთ, რომ საკადრისად უარყოთ თქვენ ეს წინადადება“ 3). (ე. ი. იმერეთის რუსეთთან შეერთების ბოლიტიკა, რასაც დედოფალი დარია ცდილობდა და ამაზე გენ. ლაზარევი იმპერატორს აცნობა: თუ შემდეგა უთანხმოება ჩამოვარდა სოლემან მეფის და კავკასიის მთავარ-მართებლების შორის, ეს გამოწვეული იყო ურთიერთ შორის დადესუ-

1) იხვე იხ. Услов, ишем. от. вн. Цицианова.

2) АКТЫ, Т. II. 750.

3) АКТЫ, Т. I. 709.

დი ხელშეკრულების დასრულებით და ეს გარემოება სრულადაა არ აქარსულებს ზირველად ნებაყოფლობით დადებულ შეერთების აკტს; მიუდგომელი ის (ორიული სამართლის სასწორი უოველთვის მისკენ კადიხრება, ვინც შეურეველად იტაკლა დადებულ ზირთას და არა მისკენ, ვინც უოველ ფენის გადადგმაზე თეფავლა მას.

ამგვარად გენ. ციციანოვი კომპრომისებზე წავიდა დროებით და იმერეთის რუსეთთან შეერთების საქმე დააბოლოვა. მაგრამ ის დარწმუნებული იყო, რომ როდესაც იმერეთიდან გამოგზავნილი ელჩები პეტერბურგს ჩამოვლენ, ადვილი იქნება მათი დახმარებით დავაჯეროთ! ოლომონ მეფე ლეჩხუმის პროვინციაზე ხელი აიღოსო, მით უმეტეს, რომ გენ. ციციანოვს იმედი ჰქონდა, რომ იმერეთიდან გაგზავნილი იქნებიან მისგან ნაჩვენები პირნი <sup>1)</sup>. თუ ეს არ მოხერხდებოდა, მაშინ ლეჩხუმის მთლად იმერეთის მეფისთვის დათმობა არ უნდოდა, რადგანაც *Divide et impera*-ს პრინციპს აღიარებდა. აირას ამბობს ჯგერა გენ. ციციანოვი: „ლეჩხუმი შეუძლებელია მთლად წართმეულ ექმნას სამეგრელოს მთავარს. გავყოთ ლეჩხუმი, რომ დაყოფილი ძალით ორივე მხარე დაუძლურდეს“ <sup>2)</sup>.

შორსმჭვრეტელი მეფე მიხვდა გენ. ციციანოვის პოლიტიკას და დაიწყო უფრო ფრთხილად მო-

<sup>1)</sup> იხ. АКТЫ, II. 791.

<sup>2)</sup> იხ. იგივე 759.

ქმედება. მან ელჩების პეტერბურგს გზავნა შეაჩერა და გენ. ციციანოვთან შემდეგი მოლაპარაკება გამართა: „სამღვდელოება, თავადნი. ხალხი და თვით თავ. ლეონიძეც წარმოგიდგენთ ბევრ დასამტკიცებელ საბუთებს, რომ ლეჩხუმი ჩემი პროვინციაა და, თუ თქვენ მომისჯით ლეჩხუმს მე. მომეცით იმგვარი მოწმობა, რომელსაც წარვადგენ მის უდიდებულესობასთან რე თუ თქვენ უარს იტყვით ამაზე, მაშინ უმჯობესია მთლად გავერდებოდეთ“... <sup>1)</sup> მაგრამ არ გასულა ბევრი ხანი, რომ ადგილობრივმა ჯარის უფროსმა ლიტვინოვმა წაართვა სოლომონ მეფეს ლეჩხუმის სიმაგრეები და უკანასკნელის შეკითხვაზე ასე მიუგო „გენ. ციციანოვმა ასე იწინააღმდეგებოდა განურჩევლათ“  
 „... და უკანასკნელი სიტყვების II სტაქსი ამბობდა: „ის ძველად მიუგო, შე კი ახლად, მიუგო უარს“. ამის გამგონა სიტყვების მიუგო გულშემატკმით დაპირებდა: „როგორ დაფუთმანი მას სსმეფა, თუ იმპერატორის წინაშე აწაფერს დაგაშავებო?“ <sup>2)</sup> ამ მდგომარეობაში მყოფმა მეფემ რაკი დაინახა, რომ ქუთაისის მახლობლათ ჯარი დააბანაკეს და ხმებიც გავრცელდა, მეფე უნდა შეიპყრან რე პეტერბურგს გაგზავნონო, ექვის თვლით დაუწყო ცქერა ადგილობრივ მართველობას. შეშინებული მეფე ხანდახან თვით სატახტო ქალაქს ქუთაისსაც კი სტოვებდა და ახლო-მახლო სოფლებში სტოვებოდა.

<sup>1)</sup> იხ. 747.

<sup>2)</sup> იხ. 875.

ომ მოსალოდნელი საფრთხე თავიდან აეშორება. მას  
კი, მიუხედავად ამისა, გენ. (ციციანოვიქ. ქუთაისში  
გადასვლას უბრძანებდა <sup>1)</sup>).

1806 წელს გენერალი ციციანოვი მოკლულნიქ-  
ნა ჰუსეინ-ყულისაგან შემდეგნაირად: როდესაც უკა-  
ნასკნელი ბაქოს ციხე-სიმაგრეების გასაღებს აბარებ-  
და გენ. ციციანოვს, მან უეცრათ ტყვია დაახალა  
კულზე და გენერალი წუთისოფელს გამოასალმა <sup>2)</sup>.

კავკასიის მთავარ-მართებლად გენ. ციციანოვის  
ოკვლის შემდეგ დანიშნულ იქმნა გენ. გუდოვიჩი,  
იმერეთის ჯარის უფროსად-კი გენ. მ. რიკვაფი.  
ახალ მართველების ხელში სოლომონ მეფის საქმე  
უფრო მეტად დაიხლართა; მას ნიადაგი თანდათანო-  
ხით ეცლებოდა. სხვები განაგებდენ მის სამეფოს.  
ასე რომ მას მხოლოდ მეფის ტიტული შერჩა. სხვა-  
თა შორის იმერეთის საქმე იმანაც გაამწვავა. რომ 9  
წლის დატყვევების შემდეგ დიგელის ციხიდან გამო-  
იქცა 15 ოკტომბერს 1806 წ. გიორგი, უკანონო  
შველი ალექსანდრესი და შვილი-შვილი მეფე სო-  
ლომონ I <sup>3)</sup>. ბატონიშვილი გიორგი უნდოდათ სო-  
ლომონ მეფის მტრებს მის საბრძოლველ იარაღად  
გაეხადათ და პართლაც სამეგრელოს მთავარი ნიკო

1) იხ. 883.

2) Павелъ Дим. Цициановъ. Висковатова.

3) იხ. АКТЫ, т. III, გვ. 225.

დადიანი, რომელიც გრიგოლ დადიანის სიკვდილის შემდეგ (1804 წ.) განთავისუფლებულ იქმნა აფხაზეთის მთავრის ქელეშბეკის ტყვეობიდან, შემდეგს სწერდა გენ. გუდოვიჩს: „ესლა შემთხვევა გვექვს, რომ იმერეთი დავიპყრათ... მათ უმეტეს, რომ ბატონიშვილი გიორგი ალაქსანდრეს ძე განთავისუფლებულაა ციხიდან და ამატომ ჩვენ შეგვიძლია მისი დახმარებით ჩაქვალათ ძღაეკება სოლომონ მეფისა“ <sup>1)</sup>. ამგვარად, როგორც ხედავთ, ერთ დროს სოლომონ მეფის ხელქვეით-მყოფმა სამეგრელოს მთავარმაც-კი გამოილაშქრა მეფის წინააღმდეგ, რომლის გაყიდვით თვით შეინარჩუნა სამეგრელოს სამთავრო; ესეც არ იკმარა. იმერეთის მეფის კომპენტენციას შეუჩერებლივ უფლება ეკვეცებოდა: სამეგრელოს სამთავრო ჩამოშორდა. ახლა გურაისასაც ხელიდან აცლიდენ. როდესაც გურიის სამთავროში უთანხმოება მოუხდათ ბატონიშვილებს, სოლომონ მეფემ, როგორც მათმა უფროსმა და მფარველმა, ჯარი გაგზავნა მათ დასამშვიდებლად, მაგრამ გენ. მ. რიკპოფმა აქაც ჰკითხა, რა მიზნით გაგზავნე გურიაში ჯარით. სოლომონ მეფემ უპასუხა: რომ შევაჩერო მათი ჩხუბი-აჩა სისხლისღვრათ, არამედ მარტო შიშითა“ <sup>2)</sup>. სოლომონ მეფე ამ შემთხვევაში ცდებოდა იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა წინანდელი ძალა და გავლენა, რადგან უხეში ძალმხარს უჭერდა მის მოწინააღმდეგე ურჩ ვასალს ვახ-

<sup>1)</sup> იხ. АКТЫ, т. III, გვ. 227.

<sup>2)</sup> იხ. АКТЫ, т. III, გვ. 216

ტანგ გურიელს<sup>1)</sup>. თვით გენერალ გუდოვიჩმა უბრძანა გენ. შ. რიჟკოვს გურია დაეჭირა, როდესაც მას ქუეყანების და სამეგრელოს ჯარი საკმაოთ ეყოლებოდა<sup>2)</sup>.

სოლომონ მეფე განსაცდელში ჩავარდა. ის ვერ შეეწრაგდა თავის მწარე ბედს. ან როგორ შეეძლო ხელი აეღო თავის უფლებაზე ამგვარი ნების მეფეს, რომელიც ძლიერებაზე და ბრწყინვალე მომავალზე ფიქრობდა. მაგრამ მისი მისწრაფებანი ალკამ, ერთკვარი ასტრონომიული ჰსოტეკსას მსგავლობაში. ამგვარ მდგომარეობაში მყოფმა სოლომონ მეფემ დაწვრილებით ამცნო რუსეთის მეფეს თავისი განსაცდელი და შეურაცხყოფა. მაგრამ ეს ცნობა არ მივიდა იმპერატორამდის და დარჩა „ბმად მლაღადებელად უდაბნოსა შინა.“ როგორც აქტივობის სჩანს, ბარონ ბუტბერგი შემდეგ სწერდა გენ. გუდოვიჩს: თხოვნა მისი (ე. ი. სოლომონ მეფის), მას უდიდებულესობას სახელზე დაწერილია, შეიტავს სხვადასხვა შეკუთვრებულ ჩივილს გენ. ციციანოვს, გენ. ლიტვინოვს და გენ. შ. რიჟკოვს. ამიტომ მე შევძელებ ვცან შევაწუხო ამ თხოვნით მისი უდადებულესობის ეურადღებობა“<sup>3)</sup> ისტორიული მსვლელობის ნიშანდობლივი თვისება ის არის, რომ ისტორიული ფაქტიარ მეორდება ერთიდაიგივეობით, მაგრამ მხოლოდ ნიშნში ადგილობრივი მართველობის

1) იქვე. 244.

2) Акты, т. III, гл. 245, № 65.

3) იქვე, იხ. 253.

თვითნებობისა შეგვიძლია ვიპოვოთ ბულგარეთის ისტორიაში. იმ დროს, როდესაც ბულგარეთში პრინცი ბატენბერგის მართველობა გაუქმდა, ბულგარეთში დიდძალი რუსეთის მხედრობა იმყოფებოდა. ამ ჯარის უფროსმა გენ. კაულბარსმა ყოველივე ღონისძიება იხმარა ეშოვა მიზეზი და ბულგარეთი რუსეთისათვის შეერთებინა და მზად იყო მოეყვანა სისრულეში თავისი განზრახვა. მაგრამ ბულგარეთის ოკუპაცია რუსის ჯარისთვის შეუძლებელი შეიქმნა, რადგანაც კმეფე ალექსანდრე I-მა ბულგარეთის რუსეთთან შეერთებაზე უარი განაცხადა <sup>1)</sup>. იმერეთის სამეფოს ბედი-კი გადაწყვეტილი იყო ადგილობრივი მართველების მეოხებით. ისტორიულმა მსვლელობამაც უნუგეშო ნიადაგი მოუმზადა იმერეთის სამეფოს და თავისი დალი დაასო. განა შეეძლო სოლომონ II ისტორიული მსვლელობის წინააღმდეგ წასულიყო? არა, მას ეს არ შეეძლო. მაგრამ მიუხედავად ამისა, მიუხედავად მისი უნიადაგო და შევიწროებული მდგომარეობისა, ის მაინც თავგამოდებით იცავდა უფლებას მას ქვეშევრდომთა და თავის ჰიროფნულ დარსებას, სანამ ოდნავ ძალა შესწევდა, აი, რასა სწერდა მეფე გენ. მ. რიკპოტს: „აკერ 1300 წ. გავიდა მას აქეთ, რაც მე და ჩემს შთამომავლობას გვექონდა მეფის უფლება და სანამ მე აღჭურვილი ვარ ამგვარი უფლებით — იცოდეთ და ირ-

1) იხ. Истoрiя Болгарiи и Сербiи Погодина, გვ 216. 217.

წმუნეთ, — რომ, თუ იმერეთში კვლავ დადგებოდეს დაი-  
 ჭერთ, მთელი იმერეთი უნდა ამოწყდეს... თუ თქვენ  
 თქვენი უფლებით დაიჭერთ ვისმე, მით ხომ ჩემი  
 მეფური უფლება ქარწყლდებაო“<sup>1)</sup>. ამასთანავე არ-  
 წმუნებდა მათ, რომ დამნაშავეს ის მათზე უფრო და-  
 სჯის და არ გაამეფებს ბოროტებას<sup>2)</sup>. უკანასკნე-  
 ლი აღშფოთება მეფისა გამოწვეული იყო მით, რომ  
 მას დაუჭირეს ექიმი ნიკოლაოზ პატერი, რომელსაც  
 გრიგოლ დადიანის მოწამლას აბრალებდენ. ამგვარად,  
 როდესაც სოლომონ მეფემ დაინახა, რომ ხელშეკ-  
 რულების მუხლები დაარღვიეს ადგილობრივმა მარ-  
 თველებმა, ის ორპირობით და ცბიერებით კი არ იქ-  
 ცეოდა, წინააღმდეგ, გასაოცარია მისი გულახდილი  
 და პირდაპირი ქცევა, სანამ მარტო არ დარჩა ბრძო-  
 ლის ველზე. მეფე პირდაპირ სწერდა გენ. გუდოვიჩს:  
 ხელშეკრულების მუხლები დარღვეულია, მაგრამ სა-  
 ნამ ხელახლა შეგეკვრებოდეთ, ჩვენთვის შესაძლებელ  
 ხელშეკრულობის მუხლებით, როგორც წერილობით  
 ვამცნე მის ი. უ., მანამდის, რაც ძალგეიძს, გემსა-  
 ხურებით, მხოლოდ არა ვალდებულობის ძალითო<sup>3)</sup>.  
 თუმცა ჯარის უფროსი გენ. მ. რიკჰოფი ამბობდა  
 რომ „განზრახვა მეფის ფორმალურად არ არის გა-  
 მომქლავებულიო“<sup>4)</sup>. მაგრამ მისი დაღუპვის მსურ-

1) АКТЫ, 255.

2) იქვე. 255.

3) იქვე. 269

4) АКТЫ Т. III. 308.

ველნი მოლაღატის სახელით ნათლავდენ მეფეს. სანტიკრესთა, თუ როგორი საიდუმლოებით ეცლებოდა მას ნიადაგი და ბნელეთისაკენ მიექანებოდა. გენ გუდლოვიჩმა შემდეგნაირი დარიგება მასცა გენ. მ. ორბელიანს. (რომელიც გენ. მ. რიკპოფის მაგიერ იქმნა დანიშნული): მას უოკელავე დონისკაება უნდა ეხმარა მეფეას დასარწმუნებლად, რომ მას არავითარი საფრთხე არ მოეღოს, რუსეთას მთავრობას მას ტახტს არასდროს არ წაართმევს. ამგვარად მოხებულა ნდობით უნდა ესარგებლნა გენ. მ. ორბელიანს და მასე მინდობილა დიდმნაშენელთაგანა საქმე დაებოლოვებინა, ე. ი. სოლომონ შეფე ხელში ჩაეგდო. უოკელავე ეს უნდა მომხდარიყო ფარულად და ხელმოხურად, რომ არ უოჟაღაყო გამომქდაქნიესულა გენ. მ. ორბელიანის განზრახვა <sup>1)</sup>).

გენ. გუდლოვიჩი ერთი მხრივ ამგვარ გეგმით მოქმედებდა, მეორე მხრივ-კი სოლომონ მეფეს არწმუნებდა, ვითომ ის კეთილგანწყობილებით აღვსილია მისდამი და მის სასარგებლოდ შუამდგომლობს, სადაც ჯერ არს <sup>2)</sup>. სოლომონ შეფე იმდენად შორსმჭვრეტელი ადამიანი იყო, რომ შეუძლებელი იყო არ ეგრძნო მას უფლებასე მომართული ბასრი ხმლის მოახლოება. ესლა კი აეკსო მას მოთმინებას ფიალა და მუნად იყო უოკელაგვარა საშვალეებისათვის მიემართა, ოდონდ

<sup>1)</sup> იქვე, 315 № 11.

<sup>2)</sup> იქვე, 318.

თავი განსაცდელისგან ეხსნა. მაგრამ მას ამისათვის ძალა არ შესწევდა ახლა. სამეფოს ძალა და მთლიანობა დაქუცმაცდა: სოლომონ მეფის ვასალები, გურია-სამეგრელოს მთავრები, დახმარების მაგიერ-წინააღმდეგენ მას, და სოლომონ მეფე ხათანგში გააბეს. ამგვარათ ბრძოლის ველზე მარტოვლ დარჩენილმა მეფემ, რადგან სხვა არავითარი საშუალება არ ჰქონდა, ორქოფობას მიმართა. ერთის მხრე რუსებს ერთგულებაში არწმუნებდა. მეორე მხრე ჰუსეინ-ხანთან კავშირი დაიკავა რუსეთის საწინააღმდეგოდ <sup>1)</sup>. სწორეთ ამდროს გენ. ტორმასოვმა გენ. გუდოვიჩის მოადგილემ. ამცნო იქვე რეთის თავადებს და სასულიერო წოდებას, რომ მათ დაეთანხმებიათ მეფე შემდეგ მოთხოვნის ასასრულებლად: ამ მოთხოვნის ძალით მეფეს ელჩები უნდა გაეგზავნა პეტერბურგს და მძევლად მიეცა მათთვის ბატონიშვილი კონსტანტინე და წარჩინებულნი პირნი. არის მოთხოვნა, რის შესრულებაც იძულებითი ხდება უმწეო მდგომარეობის მეოხებით. მაგრამ არის მასთანვე იმგვარი მოთხოვნებიც, რომლის ასრულებას ვერავითარ გარემოებას ვერ დაუქვემდებარებს ადამიანი. თუნდ სიცოცხლედაც დაუჯდეს ეს. ვის არ უნახავს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სუსტსა და მძლავრ არსებათა შორის? მეტად გულ-შემზარავს სურათს წარმოადგენს სუსტი არსების უიმედობის უკა-

1) იქვე, 320.

ნასკნელი წუთების განცდა, სულიერი ტრაგიზმი, როდესაც ის ნათლად უყურებს თავის უმწეომდგომარეობას, იცის, რომ ყოველთაზე ზედმეტა იერაშის მიტანით მხოლოდ მას ძალა ფეხქვეშ ეცლება და მით კარგავს უნარს კიდევ რამოდენიმე წუთით გაუმკლავდეს თავის მძლავრ მოწინააღმდეგეს. სამარისებური სიჩუქე სუფევს ირგვლივ ამ ტრაგიზმის დროს. არსაიდან ისმის ამჟამად ხმა მშველელისა, მაგრამ მაინც უკანასკნელ წუთამდე ებრძვის ის თავის მოწინააღმდეგეს, ჭიდრე ღონე მახდალა უმწეოთ არ დაენარცხება შიწაზე. სწორედ ამ ეოფაში ჩავარდა სოლომონ მეფე; ოდესღაც თვით მძაჭრი, შიშანკიელი შთედა დასავლეთ-საქართველსი, ახლა კა ისტორიული ტაღდან უღმბოქაშა 'სკირთებმა უმწეო დრთს მდუსწრეს მას და წელში გადახარკს, მაგრამ მაინც უკანასკნელ შესაძლებლობამდე შედგრად კბრძოდა უნუგკიშო გარემოების. რაკი მეფემ გაიგო, რომ მისი შეპყრობა გადაწყვეტილი იყო, ის 1807 წლიდან დაწყებული ძლიერ ფრთხილად იტყეოდა. დაბურულ ტყეში იფარავდა თავს, როგორც გადმოგვცემს იმერეთის ჯარის უფროსი ტორმასოვი. მეფეს ყოველმხრივ იჭვი შეეპარა, როდესაც მისმა ერთგულმა (არას ვიტყვი გურია-სამეგრელოს მთავრებზე) სახლოუხუცესმა ზურაბ წერეთელმა დალატა დაიწყო და სამშობლო ოქროზე გაყიდა. რაკი ამის შემდეგ მეფეს იჭვი შეეპარა ქვეშევრდომთა ერთგულებაზე. მან შეკრიბა საბჭო თავადებიდან და

5000 შეიარაღებულ ქვეშევრდომთაგან და შეეკითხა: სურთ თუ არა ყავდეთ მათ მეფე, რომ დაწმუნებულიყო მათი მისდამი ერთგულებაზე. როდესაც ქვეშევრდომებმა ერთგულება გამოუცხადეს, სოლომონ მეფემ უარი უთხრა კავკასიის მთავარმართებელს ელჩების გაგზავნაზე პეტერბურგს. ამის შემდეგ სოლომონ II უფრო გაბედულათ იწყო მოქმედება. ზურაბ წერეთელს სურდა ამხედრებინა მეფის წინააღმდეგ რაკისა და გურიის თავადები და შემდეგ კი ლეჩხუმსამეგრელოს მხედრობის დახმარებით იერიში მიეტანა მეფის სადგომზე და ხელში ჩაეგდო უმწეო<sup>1)</sup> მეფე). რაკი გენ. ტორმასოვმა მეფის უოოობა გაიგო, უბრძანა 1809 წელს, 17 ივლის გენ. მ. ორბელიანს და პოლკოვნიკ სიმონოვიჩს, რომ როგორც უნდა დაჯდომოდათ, მეფე ხელში ჩაეგდოთ ზურაბ წერეთლის დახმარებით და თფილისში გაეგზავნათ. <sup>2)</sup> მასთანვე აელო ფოთის სიმაგრეც, რომელიც ამ დროს სათათრეთის ხელში იყო. გენ. მ. ორბელიანმა იერიში მიიტანა ფოთზე გურულების დახმარებით და გაიმარჯვა. სიმაგრის ახლო მყოფი თათრის ჯარი გაფანტა და 2 დროშა ჩაიგდო ხელში <sup>3)</sup>. ამგვარად, როდესაც სოლომონ მეფე გამომწყვდეული დარჩა მის მოწინააღმდეგეთა შორის, ის მორჩილებას დაპირ-

<sup>1)</sup> იქვე, 284.

<sup>2)</sup> იქვე, 286.

<sup>3)</sup> იქვე, 291.

და გენ. ტორმასოვს, თუ დაარწმუნებდნენ, რომ მის მეფურ ღირსებას არავითარი შეურაცხყოფა არ მოელოდა, სამაგიეროთ მეფე პირდებოდა მოთხოვნისამებრ ელჩების პეტერბურგში გაგზავნას და გახდებოდა მისი მუდმივი მორჩილი <sup>1</sup>). მაგრამ სოლომონ მეფის ხვეწნა-მუდარას ვინ აქცევდა ყურადღებას. ადგილობრივი მართველები შეუდრეკელად მიიღობდნენ ერთხელ დასახულ მიზნისაკენ. ისინი ცბიერებით ცდილობდნენ დაერწმუნებიათ მეფე, რომ ის გადასულიყო საცხოვრებლად თავის სატახტო ქალაქ ქუთაისს, სადაც ამ დროისთვის შეაკეთებდნენ მის დანგრეულ სასახლეს. ამას გარდა, როდესაც მეფე გაგზავნიდა ელჩებს პეტერბურგში და ხელში ჩაიგდებდნენ მძევლად ტახტის მემკვიდრეს ბატონიშვილ კონსტანტინეს, მხოლოდ მერე უნდა აერჩიათ შესაფერი დრო მეფის შეზავრობად და თფილისში გასაგზავნად. „თუ ასე არ მოვიქცევით, სწერდა ჰოლკოვნიკი სიმონოვიჩი გენ. ტორმასოვს, ძალით სისრულეში მოყვანა ჩვენი განზრახვისა საშეულოად, რადგანაც ხალხი ერთგულია და მხარს უჭერს მეფეს“ <sup>2</sup>). ამგვარად იყო გამბუღი ქსელი, რომელშიაც უნდა გახლართულიყო სოლომონ მეფე. ის გრძობდა ჩრდილოეთიდან წამოსულ გრიგალის მოახლოვებას, მაგრამ მიუხედა-

<sup>1</sup>) იქვე. 292.

<sup>2</sup>) იქვე. 296. იხ. Рапортъ полк. Симоновича ген. Торماسову. отъ 12 дек 1809 г. № 1480, Кутаись.

ვად ამისა მეფე პირდაპირ სჯემდა პასუხს გენ. ტორ-  
მასოვს მისდამი მოწერილ წერილზე. სოლომონ მე-  
ფის პასუხში გამოხატულია მთელი მისი სულიერო  
ტრაგიზმი და ამიტომაც სავსებით მოვიყვან ამ წერი-  
ლის შინაარსს: „შავილე წერილი უნატიკვემელ მადალ  
აღმატებულებისა თქვენისა, სადაც მადლობას გვათვლი  
იმისთვის, რომ ჩვენ სურსათი მივცით თქვენს ჯარს  
და დახმარება აღმოუჩინეთ ჩვენი სამეფოდან გამგზავრების  
დროს <sup>1)</sup>. მოწყალეო ხელმწიფეო! მერწმუნე, როგორც  
პატიოსანს აღმაინს და მართლმორწმუნე მეფეს, რომ  
კულმადგიედ მსურს ეოკველიეუ საქალებით ვეხმარებო-  
დე რუსეთის მხედრობას. განსაკუთრებით უკანასკნელ  
წერილის მერმე, სადაც მარწმუნებთ რომ კეთილგან-  
წებობალება საუკუნით დაჩება ჩვენს შარის. მასთანვე  
ბრძანებთ, რომ მუხლების და ზირობის შეცვლა აგრძა-  
ლულია კანონის მიერ, არამედ ერთხელ მიცემული კან-  
დებულება დაცულ უნდა იქმნას წმინდად და შეურეკვლად;  
მე ბეგრჯერ გაცნეთ თქვენ წერილით, რომ თქვენს  
წინეთ მეოფმა მართველებმა გასტეხეს ფიცი. ზირობა და  
ხელშეკრულობა და არ დაუკეს წმინდად - უკეთუ დაიცვის  
წმინდად:

<sup>1)</sup> ეს ჯარი გენ. ტორმასოვის განკარგულებით იმერეთის  
სამეფოდან უნდა გამგზავრებულიყო 2. ფოთის ასაღებად, რა-  
ზედაც მეფემ გენ. ტორმასოვს თხოვნით თანხმობა გან-  
ცხადა. იხ. იქვე. Письмо ген. Торماسова къ царю Соло-  
мону 11 окт. 1809 г. № 505.



ა) სად არის სამკვიდრო სამფლობელო ჩემი ლეჩხუმი, რომლითა შემოველ მფარველობასა ქვეშე და რომელსა ზედა საშინელითა ფიცითა მაქვს ხელმოწერილობა და პირობა თავ. ციციანოვისა.

ბ) უკეთუ დაიცვეს წმინდად — შუა ლეჩხუმში ჩვენ გვქონდა ციხე დეგვირი: აქ მყოფნი მეციხოვნენი მოგვიკლეს იქაურ მცხოვრებლებმა. ჩვენ ამ საქმის შესახებ ვითხოვეთ სამართალი, მაგრამ ნაცვლად სამართლისა წავგართვეს ციხე და მისცეს დადიანს.

გ) უკეთუ დაიცვეს წმინდად ციციანოვმა გამოგვიცხადა აღწერილ მუხლებ შორის, რომ ჩემს სამეფოში იქნება მკირე ნაწილი მხედრობისა — ერთი როტა — ას ოცი კაცი, სადაც მენებებოდა, — რის ძალით დაგვიყენა 120 კაცი; ახლა კი ჩემდა დაუკითხავად და იქ, სადაც მე არ მსურს, მრავალი მხედრობა სდგას!

დ) უკეთუ დაცულ არს წმინდად — ჩვენ გვაქვს ხელმოწერილობა და პირობა ფერდ-მარშალ გუდოვიჩისა, რომ გარდა ადგილობრივ გარდაცვალებული რეკრუტის მაგიერ — იმერეთში არ იქნება შემოყვანილი არც ერთი შეიარაღებული სალდათი. ახლა კი იქ პოლკებს დაუზამთრია.

ე) უკეთუ დაიცვეს წმინდად — ქუთაისში ჩემს სასახლეში და თვით ჩემს საწოლ ოთახში დაბალ მოხელეებს უხსნათ ხასებად ჩვენი თავადებისაგან წართმეული მოახლენი.

ზ) უკეთუ დაიცვეს წმინდად — რისთვისდააქციეს საუუქვლამდე ჩვენი სამეფო სასახლე ქუთაისში.

თ) უკეთუ დაიცვეს წმინდად - პირველი იმერეთის თავადი წულუკიძე — სიძე ჩემი დავით, სალდათებმა შეიპყრეს ქუთაისში, ათრიეს, გალახეს, თავი გაუტეხეს და სისხლით შეღებული წარმოსდგა ჩემთან. ამის შესახებ ვითხოვეთ სამართალი. მაგრამ ჩვენ გვიპასუხეს — თუმცა თავ. წულუკიძეს დანაშაული არ ჰქონია, მაგრამ სალდათებს ვერ ეცნათ, თორემ არ გალახავდნო.

ი) უკეთუ დაიცვეს წმინდად — ამდენი წელია რუსის მხედრობა სდგას ჩემს სამეფოში, როგორც თავის სახლში, თავს ირჩენს, სარგებლობენ ჩვენი წყალობით: შემით, სახლით, პროვიანტით, ფურაცხით, ხარით, ცხენით, ურმით, სასმელითა და მშვიდობიანათ ატარებენ ზამთარ-ზაფხულს; სამაგიეროთ, ნაცვლათ მადლობისა, გვაგინებენ ჩვენ და ეზიზღებათ ჩვენი თავადები და კეთილშობილნი.

წერილი რომ არ გამიგრძელდეს — არ ჩამოვთვლი — სხვა ბევრ შეურაცხუფას, რომელიც მე მომაყენეს რუსებმა უსაბუთოდ. მხოლოდ შეგვეითხებით, თქვენ აღმატებულებავ, მოწყალეო ხელმწიფეო ჩვენო! მიხედეთ ზემო-აღწერილთა და გვითხარით — სად არის წმინდად დაცვა და შეურეველთა ზირთისა და ხელშეკრულობისა! დასასრულ მივეთხროვდა გენ. ტრამასოვს, გუდამოდ-

გინედ სთხოვდა, მშეადობიანობის ჩამოსაგდებად და განსამტკიცებლად — გამოეკზავნა მასთან მოსაღაპარაკებლად ნად.-სოფ. ჰაუფე მოგილიოვი <sup>1)</sup>).

სანამ ამგვარ შინაარსის წერილს მიიღებდა გენ. ტორმასოვი, მან მოთხოვნა წარუდგინა სოლომონ მეფეს აღსასრულებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, სწერდა გენ. ტორმასოვი: ნაბრძანები მაქვს, თუ მეფე სოლომონი კვლავ გაჭირვეულდება და მორჩილებას არ განაცხადებს, ძალით ჩამოართმევენ მეფობასაო.

პირობები შემდეგი იყო:

ა) წარუდგინოს სიმონოვიჩს სამი დღის განმავლობაში პეტერბურგში გასაგზავნ დესპანებად ბატონიშვილი კონსტანტინე, სიძე მეფისა მალხაზ ანდრონიკაშვილი, თავადნი: სოლომონ ლეონიძე, სენნია წულუკიძე, ქაიხოსრო წერეთელი და როსტომ ნიჟარაძე;

ბ) მეფე გადავიდეს დაუყოვნებლივ საცხოვრებლად ქუთაისში;

გ) გაგზავნოს დესპანთა ხელით უმაღლესი თხოვნა მადლობის გამოსაცხადებლად, რომ იმპერატორმა სამუდამოდ მიიღო იმერეთი თავის ხელქვეით, ნოინანოს თავისი საქციელი და აღუთქვას მშვიდო-

---

<sup>1)</sup> იქვე, 299. სვ. Цесью царя Соломона къ ген. Тор-масову от. 5 января 1810 г.

ბიანი ერთგულება. „მაშინაო, — ბრძანებს ტორმასო-  
ვი, შევგრძნობათ იმერეთის მართვა იმ უფლებით, რო-  
მელიც ტრაქტატით დათმობილი გაქვთ, წინააღმდეგ  
შემთხვევაში ხმლით დავიმორჩილებ გაუგონარს, განვ-  
დევნი სამეფოდან და მოვაწყობ ერთგულ იმერთა  
საქმესაო“, და დასძენდა საყვედურს: „ხუთი წელი-  
წაღია, რაც ერთგულობის ტრაქტატით შეეკრა მეფე  
რუსეთს, მაგრამ მაინც სპარსელებთან გაქცეულ ბა-  
ტონიშვილ ალექსანდრესთან, ახალ-ციხის ფაშასთან  
და ტრაპიზონის სერაკირთან კავშირს სდებდა რუს-  
თა საწინააღმდეგობა“. <sup>1)</sup> თუ სამი დღის განმავლობაში  
ზემო მოყვანილი მოთხოვნა არ იქნებოდა სისრუ-  
ლეში მოყვანილი, სიმონოვიჩს მთავარ-მართებლის  
მიერ გამოგზავნილი პროკლამაცია უნდა გამოეცხა-  
დებინა; ამ პროკლამაციაში მთავარმართებელი, აღ-  
ნიშნავდა რა მეფის დანაშაულს, მიმართავდა სამ-  
ღვდელოებას, თავად-აზნაურობას და ერს შეეფიცათ  
იმპერატორის ერთგულებაზე და უარეყოთ სოლო-  
მონ მეფე და ყოველგვარი მასთან დამოკიდებულება;  
იმერეთში კი „დროებითი მმართველოა“ უნდა შე-  
მოკლებულიყო, თავად-აზნაურებისაგან შემდგარი რუს  
მოახელის თავმჯდომარეობით. ამასთანავე გურია-სამე-  
ფრელოს მთავრების მამიას და ლევანის დახმარებით  
სიმონოვიჩს ყოველმხრივ გზა უნდა შეეკრა მეფისა-

<sup>1)</sup> იხ. იქვე. Письма Тормасова къ Свм. და იმერეთის მეფე  
სოლომონ აღ. ხახანაშვილისა, გვ. 44.

თვის, რომ ის არსად გაქცეულიყო იმერეთიდან და ყოველივე ღონისძიება ეხმარა, მეფის შესაპყრობად <sup>1)</sup>. პროკლამაცია ამგვარი დარიგებით გაუგზავნა ტორმასოვმა სიმონოვიჩს, ვიდრე მეფისგან მოუვიდოდა მას თხოვნა — ეახლებინა მოსალაპარაკებლად იმერეთში ნადვორნის სოვეტნიკი მოგილიოვი. ამიტომაც გენ. ტორმასოვმა უბრძანა სიმონოვიჩს პროკლამაციის გამოცხადების შეჩერება, სანამ მეფე არ მოელაპარაკებოდა მოგილიოვს. სამწუხაროთ ეს მოლაპარაკება სასურველად არ დაბოლოვდა, მეფემ უარი განაცხადა მოგილიოვის წინადადებაზე: მძევლად მიეცა ბატონიშვილი კონსტანტინე და გადასულიყო საცხოვრებლად ქ. ქუთაისში <sup>2)</sup>, რის შემდეგ შეუდგნენ სოლომონ მეფის შეპყრობას. პოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა გაგზავნა კაცები სამეგრელოს და გურიის მთავრებთან, აგრეთვე სურამში პოლკ. სტალთან და ამცნო იმერეთისაკენ წამოეყვანათ ჯარი და გზადაგზა ხალხი იმპერატორის ერთგულებაზე დაეთიკებინათ. ბრძანების თანახმად, 20 თებერვალს 1810 წელს იმერეთის მოადგნენ სოფელ ანიდან და სვირიდან გამოგზავნილი რაზმი მაიორ პრიბილოვისა და სურამიდანაც რაზმი მაიორის რეუტისა. ამ რაზმში იყო თვით გენ. ტორმასოვი. როდესაც 19 თებერ-

<sup>1)</sup> იხ. АКТЫ, т. IV, 302.

<sup>2)</sup> იხ. 308, 309 იხ. სოლომონ II. ხუსკივაძისა.

ვალს მეფემ უარი განაცხადა მოთხოვნის აღსრულებაზე. სიმონოვიჩმა პროკლამაცია გამოაცხადა 20 თებერვალს ქუთაისის ეკლესიაში და დიდი ამბით დააფიცა ქუთაისის მცხოვრებნი იმპერატორის ერთგულებაზე. როდესაც დანამდვილებით გაიგო მეფემ ეს ამბავი, ხელმეორეთ გამართა მოლაპარაკება, მაგრამ ამაოთ, მის თხოვნას უკრადლებას არ აქცევდენ და რუსეთის ჯარი ყოველ მხრივ უახლოვდებოდა მეფის სადგომს. ამის მაყურებელნი მცხოვრებლები ტყეში გარბოდენ ან ციხეებში მაგრდებოდენ. თავადმა ქაიხოსრო წერეთელმა დასტოვა ოჯახი „მოდი-ნახეს“ ციხეში და მედგრად შეებრძოლა პრიბილოვის რაზმს. ქაიხოსრო დამარცხდა, და პრიბილოვი მიადგა არწივის საბუღარს „მოდი ნახეს“, რომლის მცველად გამოვიდა ცოლი ქაიხოსროსი—ეკატერინე აბაშიძის ასული. სისხლის ღვრის ასაცდენად ხუთი დღის უნაყოფო ბრძოლის შემდეგ ქაიხოსროს ცოლმა დაუთმო ეს მიუვალი ციხე რუსებს— და ერთგულებაზე შეფიცა. ამგვარად, როდესაც იმერეთის აღმოსავლეთ ნაწილს აფიცებდენ რუსეთის ერთგულებაზე, სიმონოვიჩი დასავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილს აფიცებდა იმპ. ქვეშევრდომობაზედ. სამეგრეოლოდან ორი რაზმი წამოვიდა მაიორის შჩელკაჩევის და გენდრიმოვიჩის წინამძღოლობით; პირველს მოსდევდა მილიცია მეგრელებისა—ლევან დადიანის თაოსნობით და გურულებისა—მამიას წინამძღოლობით. მარტის დასაწყისში

1810 წელს მხოლოდ სამხრეთ იმერეთს არ დაეფიცა და მეფის დასაცველად ემზადებოდა; თვით მეფეს საბრძოლველად ემზადებოდა და ამიტომაც ოჯახობა მთაში გაისტუმრა და თვით 4000 შეიარაღებული კაცით ვარციხეს შეათარა თავი. მაგრამ უკანასკნელი ძალა ვერ შეაჩერებდა მეფის ჩამავალ ვარსკვლავს: მას ნიადაგი თანდათან ეცლებოდა, რადგანაც თვით ყოყმანობდა და ერთ სწორ გზაზე ვერ დგებოდა. მეფე რომ ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, პოლკ. სიმონოვიჩმა გადასწყვიტა მეფისთვის გზა შეეკრა ახალ-ციხესა და ონში, რომ ოსეთში არ შეძლებოდა გაქცევა — შემოერთყა სოლომონ მეფისთვის აღყა და იერიში მიეტანა ვარციხეზე. მცველებმა რომ მტრის მოახლოვება გაიგეს, გაიქცნენ, და მეფე თითქმის მარტო დასტოვეს; იგი იძულებული იყო ბაღდათში შეეთარებია თავი. აქედან გადავიდა სოფელ ხანში, სადაც ლისანევიჩის წინამძღოლობით რუსის ჯარი იდგა და მოესპო მეფეს შველის იმედი, რადგან გზა ახალ-ციხისკენ, საიდანაც მოელოდა ოსმალოს ჯარს, უკვე შეკრული ჰქონდა.

როდესაც მეფის მთელი ციხე-ქალაქები რუსების ხელში გადავიდა და მეფე ბრძოლის ველზედ მარტო დარჩა, ისე რომ მეფეს მხოლოდ 5 თავადი და 40 აწნაური შერჩა, ასეთსაფრთხეში მყოფმა მეფემ, რომელიც მოკლებული იყო საშვალეებას გაქ-

ცეულიყო ახალციხეს ან ერთ-ერთ იმ ციხეში (მუხურის, საპაიქავოს და ჭყვიშის), რომლებსაც იმერლები კიდევ იცავდნენ, გამართა სიმონოვიჩთან და ტორმასოვთან მოლაპარაკება; 8 მარტს გაუგზავნა დესპანები, რომლებმაც მეფის მინდობილობით შემდეგი გადაცეს გენ. ტორმასოვს: სოლომონი უაჩს იტყვის სამეფოს გამგეობაზე, თუ ხელწერილით დაპირდებიან, რომ იმერეთში დასტოვებენ და მისცემენ საცხოვრებლად მისგან დასახელებულს მამულს, სიმონოვიჩმა ურჩია მეფეს ენდოს გენ. ტორმასოვს და თფილისში უცადოს იმპერატორის გადაწყვეტილებას. შეუვეს სხვა გზა არ ჰქონდა, თუ არ მიღება ამ ზირობისა და შიშისგან სიმონოვიჩის და მოგილიაფაის ჰარადად ნახვა, რომლებმაც შეუვეს ჯვარზედ და სახარებაზე შეფიცეს, რომ შეუვეს არ დაატყუებენ და გზად სამეფო პატივს და დიდებას არ მოაკლებენ. სურამის ახლო მყოფ მეფეს ცნობა მოუვიდა, რომ ტორმასოვმა დაუნინინა მას შესახვედრად გორი, რომელიც „გზაზე არის თფილისისაკენ, სადაც თქვენ უნდა ელოდეთ იმპერატორის მიერ თქვენი ბედის გადაწყვეტასაო“. როცა მიუახლოვდნენ სოფ. დირბს, სოლომონმა მოითხოვა, რომ ტორმასოვმა პატივი სცეს და იქ ინახულოს იგი, მთავარმართებელმა აქ კოტა დაუთმო და დასთანხმდა შეხვედროდა სოფ. ვარიანში. მეფე სოლომონის გული კარგს არაფერს გრძნობდა და ამიტომ მეფემ სკადა დირბიდან ოსეთში გაპარვა, მაგრამ

ამგვარი მისი ცდა უუჭი გამოდგა, რადგანაც მას თვალყურს ადევნებდნენ მისდა შეუმჩნეველად და ყოველმხრივ გზას უკრავდნენ. მას შემდეგ, რაც მისი გაქცევის სურვილი გამოამჟღავნდა, მოგილიოვმა გამოუცხადა მეფეს, რომ ის რუსთა მცველების ხელშია და დაუყონებლივ უნდა წავიდეს ვარიანში. 28 მარტს 1810 წელს სოლომონ II, როგორც „სახელოვანი ტყვე“, მიიყვანეს სოფ. ვარიანში. სოლომონ II-ს აქ ტორმასოვი ჩეხვდა და გამოუცხადა, რომ ის იმპერატორის გადაწყვეტილებას თვალისში უნდა ელვადეს. უფლება აყრილი მეფე გრძნობდა, რომ იმპერატორის გადაწყვეტილება არ იქნებოდა მისთვის სასარგებლო, იმიტომ რომ გენ. ტორმასოვი თხოულობდა მეფის და ბატონიშვილის კონსტანტინეს რუსეთში გადასახლებას, რადგანაც მეფისადმი ერთგულება მაინც მტკიცეა იმერეთში და მისი იქ ყოფნა საშიშიაო <sup>1)</sup>. როდესაც ყველაფერი დანამდვილებით გაიგო სოლომონ II, ყოველივე მისი ცდა მიმართული იყო იმისკენ, რომ გაქცეულიყო და, მართლაც, ერთგული მეგობრების დახმარებით მიზანს მიაღწია. მეფე სოლომონ II თფილისში, სუმბათაშვილის სახლში მოათავსეს, რომელიც მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ავლაბრის ხიდის ახლო. სახლი განმარტოებულად იდგა და გარს ერტყა მაღალი

<sup>1)</sup> იხ. იმერეთის მეფე სოლომონ II. აღ. სახანაშვილისა.

†

გალაფანი ვიწრო გასავალი კარით. სახლის დარაჯობა ტორმასოვმა დაავალა მაიორ კომნენს (უმთავრესი ყურისგდება მეფეზე შინდობილი ჰქონდა, როგორც დავით ბატონიშვილი გადმოგვცემს, თფილისის გუბერნატორს ახვერდოვს), რომელმაც შესაფერი განკარგულება მოახდინა, რომ მეფე ხელიდან არ გასხლტომოდა. მაგრამ მეფის მეგობრებს არ სძინავდათ და მას გაქცევა მოუხერხეს <sup>1)</sup>. ქაიხოსრო წერეთელმა მოიყიდა ამ მიზნისთვის ერთი იმერელი დესეტნიკი. მას დაპირდებ მეფის წყალობას, თუ ის მეფის გაქცევის საქმეში მონაწილეობას მიიღებდა. იმერელი დაპირდა ყოველგვარ დახმარების აღმოჩენას და გაატრთხილა თანამოაზრენი მზათ ყოფილიყვენ დანიშნულ დროზე. 13 მაისს (დავით ბატონიშვილის სიტყვით <sup>2)</sup>) წერეთელმა საქმის ვითარება მეფეს აცნობა, დესეტნიკი კი შევიდა დანიშნულ დროს მეფესთან — ჩააცვა თავისი ტანისამოსი, აკიდა ტიკჭორა და წაიმძღვარა წინ, (თავის შინა მსახურს, მასთან შეზრდილ აზნაურს მეფემ დაავალა ჩაწოლილიყო მის საწოლში, რომ მცველებს მეფის გაქცევაში ეჭვი არ აეღოთ) გამოიყვანა მეფე გალაფნის გარედ და მიგვარა იქვე მყოფ თავად-აზნაურთ, რიცხვით 30-ს. ისინი ფიცხლავ შესხდენ ცხენებზე (ცხენები გადმოიყვანა მტკვრის მეორე ნაპირიდან ერთ-

<sup>1)</sup> მეფის გაქცევას მოგვიტობობს დავით ბატონიშვილი თავის მახალებში.

<sup>2)</sup> აქტებში კი გაქცევის დღედ ნაჩვენებია II მაისი, იხ. АКТЫ, т. III, 337.



მა სომეხმა.) და გაიქცენ თრიალეთისაკენ. ახალციხის ფაშამ მოაგება მეფეს ოქროთ შეკაზმული ცხენი და დიდის დიდებით შეიყვანა ქალაქ ახალციხეში. მეორე დღეს ყოველმა ცდამ, რომ მეფე შეეპყროთ, უნაყოფოთ ჩაიარა.

აქ საინტერესოა მოვიყვანოთ ერთი ეპიზოდი; გუბერნატორმა ჰკითხა მეფის მეჯინიბეს: როგორ გაიქცა მეფეო? მან უპასუხა: „აჰა ცხენი მეფისა, რომელიც მებარა მე, მეფე-კი შენ გებარა და რა უყავიო“. ამ პასუხმა იქ მყოფნი გააცინა და სიტყვა მოსწრებული მეჯინიბე განათავისუფლეს სასჯელისაგან. მეფის გაქცევა გუბერნატორმა ტორმასოვს აცნობა, რომელიც ყიზილბაშებთან იყო წასული ზავის ჩამოსაგდებად. როდესაც გულ-ამომჯდარი ტორმასოვი თფილისში ჩამოვიდა, ყველანი, ვიზედაც-კი იქვე მიიტანა, რომ მეფის გაქცევაში მონაწილეობა ჰქონდა მფლებული, სასტიკად დასაჯა, ზოგ მათგანი კი ავლაბრის რიყეზე დაახვრეტია, რომ ამით მაინც ემართლებია თავი უმაღლესი მთავრობის წინაშე <sup>1)</sup>). მართლაც, მეფის გაქცევამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ადგილობრივი მართველნი.

სოლომონ მეფემ თავის ოთახში დასტოვა ორდენი ალექსანდრე ნეველისა, უმაღლესად ბოძებული 1804 წელს. გარდა პოლიტიკური მნიშვნელობისა, მეფის საქციელი ამტკიცებდა, „მის მიერ ორ-

1) იხ. მასალები. დავით ბატონიშვილის.

კეც შეურაცყოფას მონარქის წყალობისას“; მეფეს ორდენები არ ხიბლავდა; მას ღრმათ ჰქონდა გამჯდარი გულში თავის სამშობლოსადმი სიყვარული; მხად იყო თავიც კი შეეწირა მის საკეთილდღეოდ.

მეფე შემდეგსწერდა მიტროპოლიტს დოსითეოსს 17 მაისს 1810 წელს:

....„მეფე სრულიად იმერთა სოლომონ უსამძღოოესს მარჯვენეს სასოებით ამჟორის ყოფას მოგახსენებთ, — აუწყებდა მეფე მიტროპოლიტს, — მერმეთ, როდესაც გადაწყვეტიტ გული დავაჯერე, რომ რუსეთს მისტუმრებდენ, თქვენის მოშორებისა და იმერთის საუკუნოთ დატოვების ცეცხლი ჩემს გულს მოეგზნა; ცას ქვეშეთს დიდებას თქვენთან ყოფნა, თქვენთან სიხარული, თქვენთან სიცოცხლე და სიკვდილი ვარჩიე. ჩემი თავი გადავსდევ და ათს ამ თვეს, ღამის ორ საათს, ღეთის მოწყალებით ქალაქიდან გავედი. ოთხი წერეთელნი, ორნიძმები ერისთავები და ღაშუშვილნი მათის კაცებით ოცდა-სამი ცხენიანი აქ — ახალ-ციხეში. მშვიდობით მოვედით...

აწ თქვენგან და მთლად იმერეთისაგან ჩემი საწადელი ეს არის, — მე თუ სხვა სამსახური რამ დამიკლია იმერეთისათვის, ეს კი ყველამ იცით, რომ თქვენის პატივისცემისა და სიყვარულისაგან არაოდეს ჩემი გული არ გამძლარა; აწ კიდევ სიკვდილისა და განსაცთელისათვის თავი გადავსდევ თქვენთან სიცოცხლისათვის. ამაზღდაც ფიცით გარწმუნებთ,

რომ თუ იმერეთს ჩემის დაკარგვით ბედნიერება და თავისუფლება მიეცემოდეს, როგორც მე თქვენს მოუშორებლობისათვის თავი გამოვიმეტე, ისე თქვენთვის დაკარგვას სასიხარულოდ მივიღებდი; მაგრამ ვიცი და თქვენც ხედავთ, რომ როგორც სხვა, თქვენი მეზობელნი, იმათ ხელში, უნუგეშოდ კენესიან და დღედადღე ოჯახის პატივიდან მდაბლდებაან, სახლის და ცოლშვილის უპატიობისათვის სიკვდილს ნატრულობენ, თუ იმერეთის დამორჩილებაზე გულდასმული შეიქმნენ, მერვე უმწარესი და ყოველს მეზობლებზე უძნელესი დღე იმერეთს მოადგება, და რომელსაც დღეს ოქროსადღევენ, ხვალ მათი ოჯახსაცხოვრებელსაც წაართმევენ. დღეს რომ პატივსა სცემენ, ხვალ ყოველ ქვეყნისაგან იმერეთში უმეტესად დაკრძალული ცოლ-შვილის პატიოსნებას უპატიოდ გახდიან. შეხიდეთ საქართველოს: რომელიც პირველში ფიცითა და ოქროთი მოატყუეს, დღეს აღარც სიმდიდრე უხარიან და აღარც თავისი სახლი და სიკვდილს ნატრულობენ. ყველამ იცით, რომ თავის ჩვეულებას არ გამოცვლიან; არც თქვენს მამა-პაპას იცნობდენ, არცა აქვსთ სიყვარული და გულის შეტკინება, რომელიც მე მაქვს. გიცნობთ და მიცნობთ“<sup>1)</sup>... ბოლოს ღონემიხდილი, ღირსება აყრილი, დაღონებული მახლობლების ჩამოშორებითა

<sup>1)</sup> იხ. არქივ, ტ. III, 344.

და დაობლებული აავ. სოლ. ლეონიძის სიკვდილის შემდეგ (ახალ-ციხეში), სოლომონ მეფე გადავიდოდა ერთი საფაშოდან მეორეში და ამაოდ ეძიებდა ბედის ვარსკვლავს. ახალ-ციხიდან მეფე წავიდა აზრუმს, სადაც სულთანმა დაუნიშნა მუდმივი ბინა. აქ მან დაჰყო 7 წელი, ხოლო 1812 წელს, შეწუხებული აზრუმის ფაშის მიერ—ტორმასოვის ჩაგონებით—გამოიპარა ტრაპიზონს ღამით. აქაური ფაშა ოსმან-ხაზინადარ-ოღლი ქართველ თავადთაგანი იყო და დიდი პატივით მიიღო მეფე. ტრაპიზონში ამ დროს შეგეძლოთ გენახათ დაღონებული, თვალ-ცრემლიანი, სამშობლოზე მოშორებით გულდაწყვეტილი, სამგლოვიარო ძაძით მოსილი კაცი. ვინ იყო ეს ადამიანი? ეს იყო მაგარა ნების, ოდესღაც მძლავრი მბრძანებელი იმერეთის სამეფოსა, შორს მჭვრეტელი, მაღალ იდეალებით გატაცებული ჰეროვნება—სოფომონ მეფე, რომელსაც მი'ხნად დასახული ჰქონდა დასავლეთ საქართველოში ერთი მძლავრი სამეფო დაეარსებია, მაგრამ უღმბოქვმა აბოზოქრებულმა ისტორიულმა ზვირთებმა შორს, ძალიან შორს სამშობლოდან ოსმალეთის ქალაქ ტრაპიზონში გასტყორცნეს, სადაც 42 წლისამ 7 თებერვალს განუტევა მან ტანჯული სული; დაიმარხა იქაურ ბერძენთა ეკლესიის გალავანში, სადაც უბრალო ძეგლზე აწერია: „სათლავსა ამას შინა მდებარე იმერთა მეფე სოლომონ, წელი ჩეიე.

„სსაჯენ. უფალო, მავნებელნი ჩემნი და კბო-  
დე მებრძოლთა მათ ჩემთა“. (უსაღ. 34).

„მომიხსენეთ მე, ძმანო. საფლავსა ამახ მდებარე  
მეფე სოლომონ“.

მეორე გვერდზე დაახლოვებით ამოკრილია  
შემდეგი:

„განმეცარკვა მე პირველ ქმნილი სიკეთე და  
მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და კდემული  
საფლავსა ამახ შინა ტომისაგან დავითისა, შთამოს-  
რული ბაგრატიონი, ძე არჩილისა, სრულიად იმერ-  
თა მეფე სოლომონ, რომლისათვისაც ვითხოვ შენ-  
დობას. 7 თებერვალი 1815 წელსა (ქორონიკონი  
ჩყიე)“<sup>1)</sup>.

ამგვარად სოლომონ მეფის ვარსკვლავი, ოდეს-  
ღაც მბრწყინავი, თანდათანობით იღებდა მკრთალ  
ფერს—უეცრად მოსწყდა ცის ეთერიდან დასაღღაც  
უსაზღვროებაში, ბურუსით მოცულ სივრცეში დაინ-  
თქა, მაგრამ ისტორიულ დროთა მსვლელობაში  
ადამიანის გონება ანგარიშს უწყევს წარსულს, ისტო-  
რიული შეგნების სხივებს ვერ უძლებს ბურუსი და  
ამგვარად ეს ვარსკვლავი, თუმც ჩამქრალა, მაგრამ  
მაინც მომადრავებელ ძალად გადაქცეულა, ძალად,  
რომ ვიშვათ უმჯობეს ცხოვრებისათვის.

1916 წ.

<sup>1)</sup> იხ. იმერეთის მეფე სოლომონ II აღ. ხახანაშვილის.

## შენიშნული შეცდომების განწმენვა

გვ.	სტრ.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
4	14	იმერეთისსამეფოს	იმერეთის სამეფოს
5	5	უმჯობეს, მომავ- ლისკენ	უმჯობეს მომავლისკენ
8	8	მთელი საქართველოს	მთელ საქართველოს
11	14	ასული ბრწყინვალე	ასული. ბრწყინვალე
13	4	რას თხოვეს	რა სთხოვეს
14	3	საქართველო, რომლის	საქართველო, რომელსაც
14	3	აგარიანები, სამეგდრო	აგარიანები, სამეგდრო
16	6	შესახებ დასავლეთ	შესახებ. დასავლეთ
17	14	ქვეყნისსანიუგულ.	ქვეყნისანი ეოგულ
18	21	გაიგ	გაიგო
19	10	სამეფოში ეს	სამეფოში. ეს
22	2	დავით დადიანი	გრიგოლ დადიანი
23	11	<del>იულანი სოლომონ</del>	<del>იულანი. სოლომონ</del>
25	21	ქუეკმ	მუეკმ
29	2	აირჩევენ ხელთ.	აირჩევენ ხელთ
30	12	მიანდვეს თავ. ლეონიძე	მიანდვეს. თავ. ლეონიძე
30	25	იხ. АКТИ	იხ. АКТЫ, т. II, <u>№ 664</u>
31	4	განაკრძობს	განაკრძობს
31	17	აი, რას	აი რას

32	5	გადასწავლებლად ციტი- ნოვმა . . . . .	გადასწავლებლად ციტი- ანოვმა
35	17	სამეფო . . . . .	სამეფოსი
35	25	იხ. 747 . . . . .	იხ. იქვე 847
35	36	იხ. 875 . . . . .	იხ. იქვე, 875
36	23	იხ. 883 . . . . .	იხ. იქვე, 882
36	25	იხ. АКТЫ, т. III, გვ. 225 . . . . .	იხ. АКТЫ, т. 215 (გვ. არსად არ უნდა იყოს АКТЫ-ს შემდეგ)
42	11	ტომასოვმა გენ. გუ- დოვიჩის . . . . .	ტომასოვმა, გენ. გუ- დოვიჩის



